ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

30 თეთრი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის ყოველ მეორე სამშაბათს. №3(1791) 12 თებერვალი 2003



## საით განვითარდება პუტინის პოზიცია ერაყის საკითხებში და საით განვითარდება რუსეთისა?

მე-3 გვ.

## აი, სამარცხვინო დოკუმენტი — ვინ და როგორ უღალატა საქართველოს!

მე-2 გვ.



## ღია წერილი ნოდარ დუმბაძეს



10 წელზე მეტია, ნოდარა ძამა, რაც საქართველო და ქართველი ხალხი თავისუფალია: საბჭოთა კავშირის ტყვეობიდან, ფინანსებიდან, სინდის-ნამუსიდან და ზნეობიდან, ხომ გახსოვს, ბაბუაშენი რომ გიჩიოდა: კაცს რომ შუბლის ძარღვი გუუქრება, მისი საქმე წასულიაო". გუუწყდა კარა, ოღონდ მოშხამარი აქვს იგი ძარღვი საზოგადოების დიდ ნაწილს.

მე-6 გვ.

## უპრობლემო სიკვდილი არ არსებობს

მე-3 გვ.

## „ცივილიზაციები" და მათი „შეჯახება"



მე-4 გვ.

## ვ. ნ. შონია
## ბოროტების სათავე, ანუ როგორ შეთითხნეს „მეგრელთა საქმე"



მე-7 გვ.

## რელიგიური ცხოვრება და პოლიტიკა ინდოეთში

მე-7 გვ.

საქართველო

## როგორ შეგვათრიეს „ესენგეში"

*გაგრძელება. დასაწყისი „საქართველო" №2 2003წ.*

# საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 1 მარტის სხდომის ოქმი

## საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე საშარცხვინო დოკუმენტი

**თავმჯდორე.** ჯერ ფრაქცია „თანხმობა" აყენებს წინადადებას და სრულიად ბუნებრივიც არის. ჩვენ თუ გვინდა, ვიმუშაოთ დღეს, არის წინადადება, შეწყდეს კამათი დღის წესრიგთან დაკავშირებით... (ხმა დარ-



ბაზიდან): კი, მაგრამ სიტყვის წართმევის უფლება კი აქვთ? საკითხთან დაკავშირებით გექნებათ საშუალება გამოხვიდეთ. არის წინადადება, რომ ვუყაროთ კენჭი. ვუყაროთ კენჭი. -

(ხმა დარბაზიდან): არა, არა...

მისმინეთ, რა გითხრათ, მე არ ვახსენებ არც უმრავლესობას და არც უმცირესობას... თქვენ გექნებათ საშუალება, პოლიტიკურ საკითხებზე. საქმეზე ილაპარაკოთ. ეს არ არის საქმეზე ლაპარაკი.

**ე. შევარდნაძე.** მე ჩემი უფლებით ვსარგებლობ. მე მგონი, არ არის სწორი ყველაფრის ძალიან დრამატიზირება. რამდენიმე სიტყვას მოგახსენებთ, თუ რატომ შემოგვაქვს დღის წესრიგში და რა არგუმენტები არსებობს საერთოდ საქართველოს თანამეგობრობაში შესვლასთან დაკავშირებით. პატარა მოხსენებითი ბარათი, პატარა წერილი დაგიგზავნეთ და იქ... თუმცა ამას არ გავიმეორებ. დრო იმისთვის, რომ ჩვენ გაგვეაზრებინა, საკმარისი იყო, საკმარისი იყო იმისთვისაც, რომ ჩვენს კომისიას ეს საკითხი 10–ჯერ და 100–ჯერ განეხილა. დიდი მეგობარია ჩემი ბატონი თამაზი და სხვებიც, ვინც არიან ამ კომისიის წევრები. ჩვენ თანამოაზრეები ვართ მრავალ საკითხში და მიმაჩნია, რომ ეს ცოტა ადრე უნდა გაეკეთებინა. პარლამენტს აქვს უფლება, დღის წესრიგის საკითხებიც განიხილოს, დღის წესრიგი ისე დაამტკიცოს, როგორც, მას მიაჩნია საჭიროდ, მიუხედავად იმისა, კომისია განიხილავს, თუ არ განიხილავს, იმიტომ, რომ პარლამენტი უმაღლესი ორგანოა. პარლამენტი წყვეტს დღის წესრიგის საკითხსაც და ამა თუ იმ პრობლემის ბედსაც. ეს ერთი მხარე საკითხის.

მეორე მხარე – რატომ არის სასურველი, რომ ამ პრობლემის ირგვლივ პარლამენტმა თავისი შეხედულება ჩამოაყალიბოს. ჩვენ მივიღეთ ოფიციალური წერილი იმის შესახებ, რომ თუ არ იქნება რატიფიცირებული ეს ხელშეკრულება, საქართველოს შეერთება „სნგ"– ს წესდებასთან, მაშინ საჭიროა, ხელისუფლებამ სთხოვოს თანამეგობრობის ყველა ქვეყნის ... ბაში შესვლას, თუ ასე შეიძლება ითქვას, აქვს გარკვეული და სერიოზული საერთაშორისო მნიშვნელობა. კერძოდ, საქართველოს შეერთება კოლექტიურ უსაფრთხოების ხელშეკრულებასთან აძლევს დამატებით რეზერვს, თავისი ტერიტორიული მთლიანობის ერთგვარ გაერთიანებას, ერთ-ერთ ფაქტორს, ამაზე გაკვრით არის ნათქვამი, უკერს პარლამენტი მხარს სახელმწიფოს მეთაურს თუ არ უჭერს, ამას შეიძლება სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდეს უშიშროების საბჭოში ამ საკითხის, აფხაზეთის საკითხის, განხილვის დროს. ეს განხილვა დანიშნული არის 7-ში და მეორე ტური უნდა შედგეს 9-ში. ბატონი ჯაბა იოსელიანი დღეს მიფრინავს უკვე ექსპერტებთან ერთად იმისთვის, რომ საკითხი მომზადდეს იქ ისე, როგორც საჭიროა და როგორც ჩვენს ინტერესებში არის ეს. თქვენ იცით, რომ შაბათს მე უნდა გავფრინდე, შაბათს ან კვირას. მეორე სხდომაში, ე.ი. ... 9-ში მე უნდა მივიღო მონაწილეობა. ყოველ შემთხვევაში ჩემი სურვილი ასეთია, გა-

ანას, რომ ეს ვადა რაღაცნაირად გაგრძელდეს. ამას უნდა მოჰყვეს საკმაოდ რთული პროცედურები. ბოლოს და ბოლოს ეს საკითხი უმაღლესი დონის შეხვედრაზე უნდა განიხილონ, გაუგრძელდეს საქართველოს ვადა, თუ არ გაუგრძელდეს. (ხმა დარბაზიდან). წერილი მიღებულია უკვე ასეთი. ვადა მთავრდება.

ახლა რაც შეეხება სხვა ელემენტებს, რატომ ვჩქარობთ, რომ დღეს განვიხილოთ ეს საკითხი და არა ერთი კვირის და ორი კვირის შემდეგ.

მე მინდა, გულახდილად გითხრათ, რომ ჩვენ შეერთებას წესდებასთან და „სნგ"-ს შემადგენლო-

ნაცხადიც ასეთია, და პრაქტიკულად გაერო ამისთვის მზად არის. ყველაფერ ამაზე, რომ ვიმსჯელოთ ჩვენ, ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა საზიაროა, საგარეო და ზოგიერთი სხვა ელემენტებია კიდევ... ბევრ ჩვენს მეგობარს, მაგალითად უზბეკეთის პრეზიდენტს, დღეს უნდა მივცე პასუხი. მას აქვს სურვილი, ჩამოვიდეს საქართველოში. აქვს ასეთი სურვილი სხვა პრეზიდენტებს და ხელმძღვანელებს. ერთია, როცა ხელშეკრულება ძალაშია შესული და მეორეა, როცა ხელშეკრულება ძალაში არ არის შესული. ესეც არ არის მეორეხარისხოვანი საკითხი. ჩვენ ძალიან ბევრს ვლაპარაკობთ იმაზე, რომ ქვეყანა უკიდურეს გაჭირვებაშია. მართლაც უკიდურეს გაჭირვებაში ვართ. ამაზე მეტი ალბათ ძნელია, წარმოიდგინოს კაცმა. ყველაფერი, რაც ოდნავ მაინც ამსუბუქებს ამ მდგომარეობას, მათ შორის ჩვენი ეკონომიკური კავშირების აღდგენა-განვითარება ყველა ქვეყანასთან, რუსეთთან, უკრაინასთან, ყაზახეთთან, უზბეკეთთან, მე ჩამოვთვლი იმ ქვეყნებს, რომლებიც წევრები არიან, ბელორუსიასთან, მოლდავეთთან, რა თქმა უნდა, აზერბაიჯანთან, სომხეთთან, თურქმენეთთან და სხვებთან და სხვებთან. მე უნდა შეგახსენოთ კიდევ, რომ ერთ-ერთი ფაქტორი იმისა, რომ ჩვენი თურქმენი მეგობრები ჩვენ ანგარიშს გვიწევენ და სულს ვღავფავთ მართალია, მაგრამ მაინც რაღაც შუქი ანთია და მაინც რაღაც გაზს ვღებულობთ. ეს იმიტომ რომ მოქმედებს ის ხელშეკრულება, ანგარიშს უწევენ იმას, რომ საქართველო გახდა „სნგ"-ს წევრი.

მე ერთ რამესაც გეტყვით. მე ვიცი, რომ ამას ისმენს ჩვენი საზოგადოება და ამას დამიდასტურებს ზოგიერთი. როდესაც ჩვენ ვესწრებოდით, როგორც მეთვალყურე, ბევრი ის ქვეყანა, რომელიც თანამშრომლობს ჯერ კიდევ და რომელთანაც თანამშრომლობა ჩვენ გვჭირდება როგორც წყალი და როგორც ჰაერი, ისინი გვეუბნებოდნენ: თუ თქვენ გნებავთ ასეთი თანამშრომლობა, როგორიც ჩვენ ერთმანეთში გვაქვს და ერთმანეთში ვთანამშრომლობთ „სნგ"-ს წევრები, მაშინ გახდით „სნგ"-ს წევრი, თქვენ რა ჩვენზე ჭკვიანი ხართ, თუ რაშია საქმე! და როდესაც თქვენ გახდებით „სნგ"-ს წევრები, მაშინ ვილაპარაკოთ იმ შეღავათებზე და იმ ფასებზე, რომლებიც განსხვავდება მსოფლიო ფასებისაგან და ეს განსხვავება ძალიან დიდია, ეს განსხვავება არის 20-30, ხანდახან 40%-ც ძირეულ სახეობებზე, ნედლეულზე. სხვადასხვა ბევრი საკითხია, რომელიც მოითხოვს ჩვენს უფრო ოპერატიულ მოქმედებას. ახლა პირადად მე, თუ ეს არ არის ნაკარნახევი საქმის ინტერესებით, რატომ უნდა ვიყო დაინტერესებული, გინდა თუ არა დღეს და არა ხვალ. ზოგიერთი დეტალი, ზოგიერთი არგუმენტი მე თქვენ გითხარით. მესამე საკითხი იმ დღეს ჩაიშალა და თქვენ ძალიან კარგად იცით, რატომაც ჩაიშალა, იმიტომ, რომ აქ მოსალოდნელი იყო ცუდი ინციდენტი. ამის თავიდან ასაცილებლად ჩაიშალა ეს საკითხი და გამოვაცხადე, რომ ჯობია წავიდეთ – მეთქი, 6 საათი ხდებოდა. თუ გინდა გამასამართლეთ ამისთვის. მე გამოვაცხადე იმისთვის, რომ ის უსიამოვნო ინციდენტი არ გაგრძელებულიყო. ახლა მაქვს თუ არა მე უფლება შემოვიტანო საკითხი? ბოლოს და ბოლოს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება მაქვს და შესაძლოა დავაყენო დღის წესრიგში საკითხი განსახილველად? აქვს თუ არა უმრავლესობას უფლება შემოიტანოს ასეთი საკითხი? ყველა დეპუტატს აქვს უფლება, აქვს თუ არა უფლება [illegible] კენჭისყრაზე ეს საკითხი? რა თქმა უნდა, აქვს. მე ხანდახან ლიბერალობაში ვედავები ბატონ ვახტანგს. არ შეიძლება იყოს გაუთავებელი დებატები – ჩავრთოთ თუ არ ჩავრთოთ, დღის წესრიგში. გამოვა, ვოქვათ, 10-15 კაცი, მერე მიდის დებატები– ვუყაროთ კენჭი, გავაგრძელოთ, თუ არ გავაგრძელოთ, ჩავრთოთ დღის წესრიგში საკითხი, თუ არ ჩავრთოთ. შეიძლება ორი დღე დაიკარგოს. ბატონი ჯაბა იოსელიანი, თუ არ ვცდები, პირველ საათზე მიფრინავს. ხალხი ჩვენ ზოგი მოსკოვიდან გამოვიძახეთ, ზოგი სხვა... რატომ გამოვიძახეთ? აი, უკვირთ ახლა, რომ ზოგიერთი ისეთი სახე გამოჩნდეს, რომ ჩვენ არ გვინახავსო. რა არის, გამოიძახეთ იმიტომ, რომ უმნიშვნელოვანესი საკითხია. სერიოზული საკითხია და ნუ დაგავიწყდებათ, რომ როდესაც ეს საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო, 126 დეპუტატმა მისცა თავის თანხმობა. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ეს უნდა გაფორმდეს პროცედურულად ისე, როგორც ყველა საკანონმდებლო ორგანოშია მიღებული. ამიტომ მე გთხოვთ... ბატონი ნოდარის წინადადება, რომელიც შემოტანილი იყო, არავინ უარს არ ამბობს იმის განხილვაზე. მე პირითადად მოსაზრებებს შეიძლება დავეთანხმო, შეიძლება არ დავეთანხმო. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ახლა მოვაწყოთ კენჭისყრა, განვიხილოთ ეს საკითხი პირველ საკითხად, თუ არ განვიხილოთ...

მივიღოთ ბოლოს და ბოლოს გადაწყვეტილება, თუ იტყვით, რომ არ განვიხილოთ, მოვხსნი მაშინ დღის წესრიგიდან და აღარ იქნება განხილული, მე მგონია არ გვინდა ამისთვის არც ნერვების და არც დროის ხარჯვა ზედმეტად. ასეა თუ ისეა, ეს გადასაწყვეტი საკითხია. ან ისე უნდა ვიყოთ, ან სხვანაირად უნდა ჩამოვყალიბდეთ.



**თავმჯდომარე.** გთხოვთ მოვემზადოთ კენჭისყრისათვის.

(ყვირილი დარბაზში).

**თავმჯდომარე.** მოითმინეთ, მოითმინეთ. არის წინადადება, რომ შეწყდეს კამათი. გთხოვთ, მოვემზადოთ კენჭისყრისათვის. (ხმა დარბაზიდან). რა წინადადებებიც არის, მერე ყველას ვუერი კეჭს. ნუ ყვირიხართ, წესით და რიგით ვიმუშაოთ. გთხოვთ მოემზადოთ კენჭისყრისათვის. (ნოდარ ნათაძე მიკროფონის გარეშე ლაპარაკობს). მოითმინეთ, გთხოვთ მოვემზადოთ კენჭისყრისათვის. (ხმაური დარბაზში). მე მივმართავ საპარლამენტო წესს და რიგს (ყვირილი დარბაზში). ნუ ყვირიხართ. ვუყაროთ კენჭი, ვინ არის მომხრე, რომ შეწყდეს კამათი ?

(ყვირილი დარბაზში). ხმა: ეს არის უკანონობა.

**ნ. ნათაძე.** გამაგებინეთ, რა უფლება გაქვთ თქვენ მაგისი.?

**თავმჯდომარე.** გთხოვთ, ვუყაროთ კენჭი. არც ამის უფლება

(გაგრძელება მე-8 გვერდზე)

## საქართველოს სახალხო ფრონტის განცხადება

I. საქართველოს სახალხო ფრონტი და მისი ცალკეული წევრები უკვე ორი წელიწადია აცხადებენ, რომ, მთელი რიგი ნიშნების მიხედვით, საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტი შევარდნაძე რუსეთის დავალებით მონაწილეობს შეთქმულებაში საქართველოში პრორუსული „წითელი" (კომუნისტური) გადატრიალების მოსაწყობად, რათა შესაძლებელი გახდეს საქართველოს პოლიტიკის დაუფარავი ოფიციალური შეტრიალება ანტიდასავლური და რუსეთზე ორიენტირებული კურსისაკენ. ამ მიზანს ემსახურება პირადად შევარდნაძის დაქვემდებარებაში მყოფი უკანონო „კაზაკური არმიის" შექმნა (მეთაური – კადენეცი, თბილისის „ატამანი" – ჯაფარიძე), ეროვნებაგანუსხვავებელი და სპეციფიკურად მუსლიმანური უკანონო შეიარაღებული რაზმების შექმნა (რომლებიც აგრეთვე შევარდნაძის პირად დაქვემდებარებაში არიან), ვეტერანთა ორგანიზების მცდელობები რუსული ორიენტაციის პირთა ხელქვეით და ეკონომიკური დესტრუქციის ზოგადი პოლიტიკა, რომელიც ესწრაფის ფართო მასაში დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოებრიობის დისკრედიტაციას. ამავე მიზანს ემსახურება, საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობის (ეროვნული დარბაზის) აზრით, თითქოსდა პოლიტიკური პარტიების ხელთ არსებული „შეიარაღებული ძალების" ტელევიზიაში აფიშირების კამპანია, რამაც პანიკა და არასტაბილურობის შთაბეჭდილება უნდა შექმნას, და თითქოსდა შევარდნაძის წინააღმდეგ მოწყობილი „შეთქმულების" თემის აქცენტირება, რათა პროქართული, და პროდემოკრატიული „შეთქმულების" სახით ხელსაყრელი ფსიქოლოგიური ნიადაგი მოუმზადონ მასის შერიგებას მომავალ პრორუსულ (ანტიქართულ) და კომუნისტურ (ანტიდემოკრატიულ) გადატრიალებასთან, რომელიც მზადდება.

საქართველოს სახალხო ფრონტი აფრთხილებს ყველას, ვინც კი ზემოხსენებულ პრორუსულ კომუნისტურ შეთქმულებაში ჩაბმის წინადადებას მიიღებს, არ აჰყვეს ამ დანაშაულებრივ ანტისახელმწიფოებრივ განზრახვას, რომელიც სამშობლოს ღალატს ნიშნავს.

საქართველოს სახალხო ფრონტი მოუწოდებს საქართველოს ყველა მოქალაქეს, ფხიზლად იყოს და მთელი თავისი შესაძლებლობით მზად იყოს დაუფარავი შეიარაღებული პრორუსულკომუნისტური გადატრიალების ძალთა მოსაგერიებლად იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გადატრიალების მცდელობა მოხდება.

II. საქართველოს სახალხო ფრონტს მიაჩნია, რომ ის ერთადერთი რეალური ძალა, რომელიც დღეს საქართველოს იცავს პირდაპირი შეიარაღებული აგრესიისაგან და განმეორებითი ანექსიისაგან რუსეთის მხრიდან, არის აშშ. ამიტომ კეთილმეგობრული და მოკავშირეობრივი ურთიერთობა აშშ-თან სახალხო ფრონტს მიაჩნია არა თუ ალტერნატივო კურსად და მიზნად საქართველოს საგარეო პოლიტიკაში, არამედ საქართველოს სახელმწიფოს და საქართველოს ყოველი მოქალაქის ყველა პოლიტიკური ქმედების შეუვალ პრინციპადაც. თქმულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო ფრონტი თვლის, რომ საქართველოს ინტერესია და საქართველოს მოვალეობაა, აქტიურად დადგეს აშშ-ის მხარეზე ისეთ კონფლიქტში, რომელშიც კითხვის ქვეშ დადგება აშშ-ს სამხედრო მყოფობა შავი ზღვისა და კავკასიის რეგიონში ან მისი სასიცოცხლო ინტერესი. მაგრამ საქართველოს სახალხო ფრონტს გაუმართლებლად მიაჩნია საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტის დემონსტრაციული განცხადებები (ორი განცხადება) აშშ-ის სამხედრო ოპერაციის მხარდაჭერის შესახებ ისეთ პირობებში, როდესაც აშშ-ის წარმატების ინტერესი ამას არ მოითხოვს. ამ განცხადებებით შევარდნაძე საბაბს ქმნის როგორც არაბული სამყაროს მტრული მოქმედებისთვის საქართველოს წინააღმდეგ დღეს და მრავალსაუკუნოვან მომავალში, ისე რუსეთის მხრიდან საქართველოსთვის სამხედრო და დივერსიული დარტყმების მიყენებას არაბული დარტყმების სიმულაციით. საქართველოს სახალხო ფრონტი არ გამორიცხავს, რომ შევარდნაძე ამჯერადაც რუსეთის დავალებით მოქმედებს არაბულ ქვეყნებთან საქართველოს კეთილმეზობლური ურთიერთობების შექმნის არდაშვების მიზნით.

საქართველოს სახალხო ფრონტი
ეროვნული კომიტეტი
10/02.2003

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საით განვითარდება პუტინის პოზიცია ერაყის საკითხებში და საით განვითარდება რუსეთისა?

ამერიკულ-ისლამური ურთიერთობების გამწვავებამ, რომელიც 2001 წლის 11 IX ტერაქტმა გამოიწვია, რუსეთიც და მისი დღევანდელი პრეზიდენტიც მკვეთრი არჩევანის წინაშე დააყენა. პუტინმა ის ქმნა, რაც მოსალოდნელი იყო და რასაც იგი, უნდოდა ეს თუ არ უნდოდა, ვერ გაექცეოდა ძალთა რეალური შეფარდების გამო: მან დაუფიქრებლივ მხარი დაუჭირა (ანუ: წინააღმდეგობა ვერ გაუწია და ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა) ამერიკელთა გადამწყვეტ ნაბიჯს: სამხედრო ოპერაციას თალიბების წინააღმდეგ ავღანეთში და შუა აზიის ქვეყნებში აეროდრომების გამოყენებას ამერიკელთა სამხედრო ავიაციის მიერ, ორივე ეს ნაბიჯი მსოფლიო საზოგადოებრიობას მიეწოდა როგორც ტერორიზმით შეშფოთებული და აღშფოთებული ჰუმანური ყოფილი ზესახელმწიფოს კეთილი ნების თვითმიზნური ჟესტი და როგორც რუსეთის გულწრფელობის უტყუარი საბუთი. მაგრამ არც მაშინ, არც იმის მომდევნო წელიწადში და წელიწადზე მეტში რუსეთს სანაცვლო არაფერი მიუღია. უფრო მეტიც: „კეთილი ნების“ ამ პოლიტიკის კალაპოტში მოძრაობით რუსეთი ლოგიკურად აღმოჩნდა კიდევ უფრო მძიმე ამოცანისა თუ დავალების წინაშე: იგი იძულებული გახდა განსაზღვროს თავისი ადგილი და პოზიცია ამერიკელების კონფლიქტში თავის უახლოეს ყოფილ მეგობრებთან – არაბებთან და, პირველ ყოვლისა, ერაყთან რომელსაც ნავთობის მეორე მარაგი აქვს მსოფლიოში (პირველი აქვს საუდის არაბეთს).



კარიკატურა მურთაზ აბაშიძისა

აქ პუტინს დიდი არჩევანი „დე ფაქტორი“ არა აქვს. ამერიკელებმა თავიდანვე განაცხადეს, რომ თავის საქმეებს ერაყში გააკეთებენ განურჩევლად იმისა, ექნებათ თუ არა მხარდაჭერა გაეროს, ევროპელების და, მით უმეტეს, რუსების მხრიდან. ამ კურსს ადგანან კიდევაც, და ჯერჯერობით, მთელი რიგი დათმობები მოიპოვეს თავისი ზემოხსენებული ოპონენტების მხრიდან ისე, რომ სანაცვლოდ არც ერთს დათმობაზე წასვლა არ დასჭირვებიათ. ერთადერთი „კოზირი“, რომლების ამოქმედება რუსეთს შეეძლო ამერიკელებისთვის წინააღმდეგობის გასაწევად, უკვე გაუქმებულია: მას შეეძლო ვეტოს დადება გაეროს უშიშროების საბჭოს მსჯავრისათვის, მაგრამ არ დაადო და ამით თავისი ინტერესების შესაბამისადაც მოიქცა, ვინაიდან მისი პოზიციის დემონსტრაციული უგულებელყოფა ამერიკელების მიერ (რაც უსათუოდ მოხდებოდა) უარყოფითად აისახებოდა არა მხოლოდ მის ურთიერთობაზე შეერთებულ შტატებთან, არამედ მის პრესტიჟზეც. ასე რომ პუტინს ურჩევნია, მეტ-ნაკლებად „თვალდახუჭულმა“ ჩაატაროს ის, რაც მოსახდენია: დაე, ამერიკელებმა სწრაფად და აკურატულად განახორციელონ ის, რაც განზრახული აქვთ, და რუსეთი, უბრალოდ ფაქტის წინაშე დამდგარი აღმოჩნდეს!

ის, რომ „ფაინენშალ ტაიმსის“ სიტყვებით ვთქვათ, „პუტინმა იცის, რომ მის პოზიციას დიდი გავლენა არ ექნება შეერთებული შტატების ქცევაზე,“ დღეს ყველასთვის ცნობილია. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ამერიკელებისათვის წითელი კვერცხის გაგორება-არგაგორების ან მეტად თუ ნაკლებად გაგორების პოლიტიკას პუტინსა და მისი ქვეყნისათვის მნიშვნელობა დაეკარგა. თავის დემონსტრაციულად პროამერიკული პოლიტიკით პუტინი იმედოვნებს, გაიმაგროს თავისი პოზიციები ევროპელებთან ურთიერთობაში, სახელდობრ, მათგან დამოკიდებული იყოს იმ მხრივ, რომ აღარ დასჭირდეს ხოლმე მათგან რუსეთის ინტერესების ლობირება ამერიკელთა წინაშე (რასაც, თუ იმავე „ფაინენშალ ტაიმსის“ ფრთხილ გადაკვრას დავუჯერებთ, სისტემატური ხასიათი აქვს). ამ ფონზე აშკარაა, რომ პუტინის მცირედი „მიწოლა“ ამერიკელებზე, რაც ამ ბოლო თვეებში რამდენჯერმე მოხდა, – სახელდობრ, დაჟინებული განცხადებები, რომ რუსეთი ნებისმიერი თანამშრომლების უფლებას ინარჩუნებს ირანთან და ჩრდ.კორეასთან, და მისი დემონსტრაციული მუქარა საქართველოს მიმართ – რუსეთის ხელისუფლების მხრიდან ფასზე შევაჭრება უფროა, ვიდრე რეალური გამარჯვებისთვის გათვლილი ნაბიჯები, თუმცა ვერ გამოვრიცხავთ, რომ ამერიკელთა მხრივ ოდნავი დათმობის შემთხვევაში რუსეთი არ გაუშვებს შემთხვევას, საქართველოზე აგრესია მოახდინოს.

დღეს რუსეთის რეალური მიზანი ამ მეტნაკლებად ბუტაფორულ ზეწოლაში ისაა, რომ მომავალ ომში გამარჯვებული შეერთებული შტატების თანხმობით ერაყის ნავთობის რაც შეიძლება დიდი წილი დაითრიოს იმ უკვე არსებული ერაყულ-რუსული ხელშეკრულების თანახმად, რომელთა ამოქმედებაც დღეს ერაყზე ემბარგო უშლის. (ამაზე „საქართველოს“ უკვე გამოქვეყნებული აქვს მასალა წინა ნომრებში) კავკასიაში კი მისი ინტერესები მოიცავს, ერთის მხრივ, ანტიქართული ისტორიის გაღვივებას და ჩეჩნეთში განცდილი მარცხის საქართველოზე გადაბრალებას, რაც პუტინის პირადი ავტორიტეტისა და მისდამი სიმპათიის ზრდას ემსახურება, მეორეს მხრივ, რა თქმა უნდა, რეალური შესაძლებლობების გამოყენებას (თუკი შემთხვევა მიეცა), საქართველოს ხარჯზე კავკასიონის სამხრეთით თუნდაც სიმბოლურად მცირე ტერიტორია მოიპოვოს და ამით „ამიერკავკასიურ სახელმწიფოთა“ რიგებში ჩადგეს, როგორც მეორე ერთეული (ამაზეც „საქართველოს“ უკვე მასალები გამოქვეყნებული აქვს).

„ფაინენშალ ტაიმსს“ მიაჩნია, რომ მოსკოვში შევარდნაძეს განიხილავენ, როგორც ანტირუსული მიმართულებისას“. (რაც ქართველებისთვის, რა თქმა უნდა, დასაჯერებელი ვერ იქნება)და რომ მისი კურსის რეგულირებას რუსები ამერიკელებს სთხოვენ(!), აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოსკოვური წარმოშობის ტრადიციულ სიმულაციას – საქართველოს ხელისუფლების „პროდასავლური“ კურსის დღევანდელი დონე იმის მაქსიმუმია, რაც კი არსებულ პირობებში შესაძლებელიაო – დასავლეთში (ზედაპირულად მაინც) გასავალი აქვს.

არის თუ არა პუტინის კურსი იგივე რაც რუსეთის პოზიცია? ერთის მხრივ, უდავოა, რომ პუტინის პოლიტიკაში დიდ როლს ასრულებს მისი პირადი პრესტიჟის, საკუთარ მოქალაქესა და ამომრჩევლებზე „თამაშის“, აგრეთვე შოვინისტურ-აგრესიულად განწყობილი გენერალიტეტის მომხრობის ინტერესი. მეორე მხრივ, არანაკლებ აშკარაა, რომ დღევანდელი იმპერიული პოზიციიდან უფრო დემოკრატიულად, უფრო არააგრესიულ და სხვა ხალხების ინტერესთა გათვალისწინებულ პოზიციაზე გადასვლა რუსეთს დღეს არ შეუძლია. ეს მას შეეძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც განსაზღვრული ექნება ან მეტნაკლებად მოხინჯული მაინც ექნება თავისი ახალი ადგილი – მშვიდობიანი და „ხრდილობიანი“ ქვეყნის ადგილი მსოფლიო სისტემაში, ამას კი თაობათა შრომა და თაობათა ევოლუცია სჭირდება.

## უპრობლემო სიკვდილი არ არსებობს

მით უფრო, არ არსებობს უპრობლემო სამხედრო მოკავშირება. „წინასწარი დარტყმების“ ანუ „წინმსწრობი დარტყმების“ ამერიკულ დოქტრინას, რომელიც ბუშის ადმინისტრაციას ეკუთვნის, თავდაპირველად მხარი დაუჭირა ნატოს მხოლოდ სამმა წევრმა – შეერთებულმა შტატებმა, თურქეთმა და ჩეხეთმა. გერმანიამ ეჭვის ქვეშ დააყენა ამ სტრატეგიის კანონიერება, საფრანგეთმა კი ჩათვალა, რომ ასეთ მოქმედებას გაეროს უშიშროების საბჭოს თანხმობა სჭირდებოდა. „ფაინენშალ ტაიმსის“ სიტყვით, რომელიც მაღალი რანგის ნათელი დიპლომატის ცნობას ემყარება, ამ რამდენიმე თვის წინ დახურულ დარბაზში ჩატარდა ნატოს ქვეყნების „ვარჯიში“, ერთ მათგანზე, სახელდობრ, თურქეთზე წარმოსახვითი მოწინააღმდეგის (ეს შეიძლება ყოფილიყო ირანი, ერაყი, სირია,...) ბიოლოგიური და ქიმიური იარაღით თავდასხმის სიმულაციით. საჭირო გახდა ნატოს წესდების მეხუთე პუნქტის ამუშავება, რომელიც ითვალისწინებს ყველა წევრი ქვეყნის ჩაბმას ომში ერთი წევრი ქვეყნის წინააღმდეგ მესამე ქვეყნის აგრესიის შემთხვევაში. ერთ-ერთი წარმომადგენლის სიტყვით, ამ მძიმე ამოცანამ „კინაღამ ალიანსის გაყოფა გამოიწვია“.




ევროკავშირის წევრ ქვეყნებს აქვთ 1993 წლის შეთანხმება ერთობლივი საგარეო პოლიტიკის შესახებ და 1999 წლის შეთანხმება თავდაცვის ზოგი ერთობლივი ასპექტის შესახებ. დღეს გერმანელები ამბობენ, რომ მიზანშეწონილია ცალ-ცალკე დიპლომატიური სამსახურები ერთმა ერთობლივმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ შეცვალოს. ზოგ წევრ ქვეყანას უნდა, რომ საგარეო პოლიტიკის საკითხები მთავრობათა ხმების უმრავლესობით წყდებოდეს.

ან. ამ სიტუაციაში, ავტორის დაკვირვებით. ევროკავშირის საერთო მაღალი ფუნქციონერები – ხავიერ სოლანა და ქრის პატერი – პირში წყალდაგუბებულნი აღ-

# აქვს თუ არა ევროკავშირს საგარეო პოლიტიკა?

ევროკავშირის ერთ-ერთ ლიდერს, საფრანგეთის ყოფილ პრეზიდენტს ჟისკარ დესტენს უნდა, რომ ევროკავშირს საგარეო საქმეთა მინისტრი ჰყავდეს. ტონი ბლერს კი ნათქვამი აქვს, რომ ევროკავშირი უნდა იყოს „სუპერ ძალა“ (მაგრამ არა სუპერსახელმწიფო).

The Economist-ის ავტორი ფიქრობს, რომ დღევანდელი კრიზისული ვითარების წინაშე ევროკავშირში პოზიციათა დიდი განსხვავებულობაა, რომელსაც ლიდერები თავისი მრევლის წინაშე ხაზსაც კი უსვამენ, რათა ამით მის თვალში დადებითად გამოჩნდნენ. ტონი ბლერი ხაზს უსვამს თავის გან-

მოჩნდნენ, რადგან როგორც კი გაჩნდა კავშირის შინაგანი უთანხმოება შექმნილი საერთაშორისო კრიზისის გამო, ყველას პოზიციათა განსაზღვრის ცენტრმა ისევ მათ-მათი დედაქალაქებისკენ გადაინაცვლა.

ევროპული საგარეო პოლიტიკა ყოველთვის არაა ამდენადვე არადამოუკიდებელი ან გაუბედავი. მაგალითად, ბალკანეთის კრიზისში ევროპა ერთად იყო და ერაყთან მიმართებაშიც ერთად ადგას იმ პოზიციას, რომ მოქმედება გაეროს დასტურის გარეშე სასურველი არაა. დღევანდელ კრიზისში ევროპელთა უთანხმოების ვერმოგვარებას და არმოგვარებას განაპირობებს. ერთის მხრივ.



ბლეირი, შირაკი და შროდერი.

საკუთრებულ სიახლოვეს ამერიკელებთან, რადგან იცის, რომ თუ, ერთის მხრივ, ერაყის მომავალ ომში მონაწილეობას თავისი მინუსები აქვს, მეორეს მხრივ, ამერიკელებთან შავი კატის გარბენა უარეს მინუსად ჩაეთვლება. შროდერმა, პირიქით, შუა არჩევნებში ცალსახად უარჰყო ყოველგვარი მონაწილეობა ერაყის ომში, თუნდაც მას გაეროს დასტური ჰქონდეს. ამ ორთა ფონზე შირაკმა არჩია ფრანგებს თავი აჩვენოს „ოქროს შუალედის“ პოზიციაზე მდგომად. ამიტომ მისმა დიპლომატებმა, ერთის მხრივ, გაკენწლეს გერმანელები, როგორც საერთაშორისო პასუხისმგებლობისთვის თავის ამრიდებლები, მეორე მხრივ, კი მან ხაზი გაუსვა თავისი ქვეყნის „ჭეშმარიტ მეგობრობას“ ამერიკელებთან და ინგლისელებთან, რომლებიც მათ უკრიტიკოდ მიჰყვები-

ის, რომ საფრანგეთი და ინგლისი გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები არიან და ხმას ცალ-ცალკე აძლევენ, მეორე მხრივ, ის, რომ ევროკავშირს ამ საბჭოში არა ჰყავს თავისი წარმომადგენელი, როგორც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში, სადაც მის ამ წარმომადგენელს, თავისი ამ დიდი ფაქტორის წყალობით, შეუძლია „ძია სემს“ ელაპარაკოს როგორც თანასწორი თანასწორს.

და მაინც, ყოველივე ამის ფონზე ევროპას აქვს სხვა ძალიან მძლავრი მოტივიც, რათა საბოლოო ჯამში ამერიკელთა ნება აასრულოს: ესაა იმის ხსოვნა, რომ მთელი ცივი ომის მანძილზე ევროპა საბჭოთა კავშირისგან ამერიკამ დაიცვა. და შიში, რომ ამერიკელებმა დღეს ზურგი არ შეაქციონ იმავე თუმცა დასუსტებული, საშიშროების წინაშე.

# „ცივილიზაციები" და მათი „შეჯახება"




მას აქეთ, რაც ამერიკულ ჟურნალში „Foreign Affairs" (საგარეო პოლიტიკა) გამოქვეყნდა ამერიკელი პოლიტოლოგის სამუელ ჰანტინგტონის წერილი სათაურით „ცივილიზაციათა შეჯახება", მისმა თემამაც და იდეამაც დასავლეთის მოაზროვნე წრეებში ფართო პოპულარობა მოიპოვა. იმავე ჟურნალში იმავე წელს დაიბეჭდა კრიტიკული შენიშვნების შემცველი გამოხმაურება პრაქტიკოსი-პოლიტიკოსების ავტორობით. შენიშვნები ეხებოდა არა ავტორის ამოსავალ პრინციპს და ძირითად დებულებას - იმ მარად ძველი და ცხადი ფაქტის კიდევ ერთხელ გაცნობიერებას და აღწერას თანამედროვე მეცნიერების ენით, რომ ისტორია, არც მსოფლიოს ერთიანი პოლიტიკური სისტემა არ არის პირველ ყოვლისა სხვადასხვა შეხედულებების, რელიგიების, პოლიტიკური სისტემების და ინტერესთა მეტ-ნაკლებად სტაბილური ჯგუფების ურთიერთშეტაკებისა და ბრძოლის ასპარეზი, არამედ მასში ურთიერთდაპირისპირებული მხარეები სხვანი არიან, სახელდობრ, ადამიანთა რაღაც უფრო მყარი და დროში გამძლე ერთიანობანი, რომელთაც, პრაგმატული და ცვალებადი ინტერესების





გარდა თავის შიგნით საერთო გამაერთიანებელი სხვა რამეც აქვთ, - არამედ მის კერძო კონკრეტულ მხარეებს, როგორიცაა, მაგალითად, ის, თუ რამდენად ზუსტია ცივილიზაციათა ის იდენტიფიკაცია (გამოყოფა) და კვალიფიკაცია, რომელსაც ავტორი იძლევა. ჰანტინგტონმა ეს სუპერ-ერთიანობები „ცივილიზაციების" სახელით აღნიშნა და ამ ცნებაში იგულისხმა კაცობრიობისა და დედამიწის ურთიერთგანსხვავებული ნაწილები, რომლებიც მეტ-ნაკლებად მსგავსნი არიან თავის შიგნით (ცხოვრების წესით, შეხედულებებით, კულტურით, რელიგიით...), მეტ-ნაკლებად ახლოს მდგომნი თავისი წარმოშობით (გენეტიკით) და მეტ-ნაკლებად ერთობლივ საარსებო სივრცეში მოქცეულნი. ჰანტინგტონმა რვა ასეთი სუპერ-ერთიანობა გამოყო, მაგრამ ეს გაყოფა ერთგვარად პირობითია. არ არის გამორიცხული, რომ ცოტა განსხვავებული გაყოფა უფრო ზუსტი და უფრო ადექვატური აღმოჩნდეს. ჰანტინგტონს არ უთქვამს ამ კონტექსტში ის, რაც, პრაქტიკულად, რეალურ გლობალურ პოლიტიკაში ჩაბმულმა ყველა სახელმწიფო კაცმა იცის, მაგრამ რის ღიად წარმოთქმასაც დღევანდელი საერთაშორისო „ზრდილობის" კარნახით, ყველა ერიდება - რომ ამ გლობალური ბრძოლის სუბიექტები ძირითადად ერები არიან - ადამიანთა ისეთი მაკროჯგუფები, რომელთაც სამივე ზემოხსენებული ფაქტორი (წარმოშობა, კულტურა, ანუ ცხოვრების წესი და წარმოდგენები, ისტორიული ბედი, საარსებო სივრცე, და ადგილი მსოფლიო სისტემაში, და არაერთი სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორი - საერთო აქვთ. ბუნებრივია, რომ ჰანტინგტონმა თავისი ხოგადი კონცეფციის არა მხოლოდ აგებაში, არამედ ილუსტრაციაშიც უხვად გამოიყენა კონკრეტული ისტორიული მასალა: მაგალითად, შეეხო იმას, რომ აზიის სწრაფად მზარდი დემოგრაფიული და ეკონომიკური ძალა, - პირველ ყოვლისა, ჩინეთისა - გამოწვევას წარმოადგენს დასავლური ცივილიზაციის, ანუ დასავლეთის, როგორც დედამიწის ნაწილის, და დასავლელების, როგორც კაცობრიობის ნაწილის, იმ ჰეგემონური მდგომარეობისთვის, რომელიც მას დღის მსოფლიოში აქვს. ისიც ბუნებრივია, რომ ჰანტინგტონის კონცეფციას უზომო და თავშეუკავებელი, თუმცა რეალურ საბუთიანობას მოკლებული წინააღმდეგობა შეხვდა და ხვდება - ისევე, როგორც თავის დროზე მალთუსს, რომელსაც ვერ შეედავნენ ვერც ფაქტების კონსტატაციაში (სახელდობრ, იმაში, რომ დედამიწის რესურსები უსასრულო არაა) და ვერც ამ ფაქტებიდან დასკვნის გამოტანაში (სახელდობრ, იმისა, რომ, მაშასადამე, კაცობრიობა უსასრულოდ ვერ გამრავლდება), მაგრამ ამის მიუხედავად, მაინც ყველანაირად შეაჩვენეს და ბოროტების მქადაგებლად ჩათვალეს. ლანძღვა-გინებამ, ბუნებრივია, ვერ მოხსნა კითხვა: „მალთუსი რომ არ იყოს, დედამიწის რესურსები უსასრულო გახდება?". ასევე ჰანტინგტონის წინააღმდეგ მიმართული გალიზიანება ვერ აბათილებს ვერც იმ ფაქტს, რომ დედამიწაზე დღეს არა ერთი, არამედ რამდენიმე სხვადასხვა მიკრორეგიონია, რამდენიმე მაკროჯგუფია მეტ-ნაკლებად ერთგვარი წესითა და კულტურით მაცხოვრებელი ადამიანებისა და მრავალი სხვადასხვა ერია, რომელთაც თავი სხვას ურჩევნიათ, და ვერც იმ პერსპექტივას, რომ ყოველ ამათგანს საკუთარი დაწინაურება სხვისსას ერჩივნოს.

ჰანტინგტონსადმი დაპირისპირებაში ზოგ სხვა გამოჩენილ პოლიტოლოგსაც იხსენებენ, ვინც დღევანდელ გეოპოლიტიკურ სიტუაციასა და მისი განვითარების პერსპექტივებზე თვალსაჩინო მსჯელობას არ ერიდება. მათ შორის - ზბიგნევ ბჟეზინსკისაც, პოლონური წარმოშობის ამერიკელ პოლიტოლოგს, და, განსაკუთრებით, მის წიგნს „დიდი საჭადრაკო დაფა". ამ წიგნში ბჟეზინსკი ასაბუთებს იმ აზრს, რომ აშშ მსოფლიო ისტორიაში პირველი ნამდვილად მსოფლიო სახელმწიფოა (რომი და სხვა იმპერიები მხოლოდ ადგილობრივი სახელმწიფოები იყვნენ), ამავე დროს - უკანასკნელი ასეთი სახელმწიფო, და ცდილობს მოხაზოს ის გეოპოლიტიკური „გამოწვევები", ანუ მეტოქეობის მუქარები, რომლებიც ამ ზესახელმწიფოს ელის ან შეიძლება ელოდეს. ამ თეზისთან კამათი ორი მიმართულებითაა შესაძლებელი: ან ის უნდა ამტკიცოთ, რომ აშშ არაა ნამდვილად გლობალური სახელმწიფო, ან ის, რომ სხვა სახელმწიფოთა (დედამიწის სხვა რეგიონთა) გაჩქარებული მრავალმხრივი განვითარება კითხვის ქვეშ არ აყენებს, სამომავლოდ, აშშ-ს ამ მსოფლიო სტატუსს. მაგრამ ვინაიდან არც ერთი, არც მეორე შეპასუხება დამაჯერებელი არ არის, მოკამათენი, უფრო, იმ აზრის ქადაგებისაკენ იხრებიან ხოლმე, რომ, მართალია, სხვანი განვითარდებიან, ზოგჯერ - ძალიან სწრაფად, მაგრამ აშშ-ს ეს არანაირი პრობლემას არ უქმნის, მათ შორის - არც მისი დღევანდელი ჰეგემონიის შეკვეცის პრობლემას, თუმცა (ეს ჰეგემონია შეერთებულ შტატებს იმის საშუალებას აძლევს და საჭიროებას უქმნის, რომ შეძლოს - თავისი თავდაცვის ოფიციალური კონცეფციის თანახმად - ერთდროულად ორი სრულმასშტაბიანი ომის (მაშასადამე - მოწინააღმდეგეთა ნებისმიერ კომბინაციასთან ომის) წარმოება ორი მიმართულებით: წყნარი ოკეანისაკენ ანუ დასავლეთით და ატლანტის ოკეანისაკენ ანუ აღმოსავლეთით.

ამერიკული ჟურნალის FIR ერთ-ერთი ავტორი (ელიზაბეთ პელენბრიოხი) ფიქრობს, რომ ჰანტინგტონის კონცეფცია თავისი არსით აკადემიური პროგნოზი კი არაა, არამედ გეოპოლიტიკური პროექტია იმისა, თუ როგორ უნდა იმოქმედოს დასავლეთმა, რათა თავისი დღევანდელი უპირატესობა არ დათმოს. ცივი ომის შემდეგდროინდელი ერთ-ერთი ექსპერტის დამოწმებით ავტორი ამბობს, რომ ამერიკელთა ძირითადი პოტენციური მოწინააღმდეგე „ევრაზიული ეკონომიკური ალიანსი" ჩინეთისა, ინდოეთისა და რუსეთისა, ისლამური სახელმწიფოების მონაწილეობით, როგორიცაა, მაგალითად, ირანი. ავტორს მიაჩნია, რომ ეს პროგნოზი სწორი არ არის „საქართველოს" წინა ნომრებში არაერთხელ გამოქვეყნებულია მასალები, საიდანაც ჩანს, რომ არც ჩინეთს, არც ინდოეთს არანაირი მოტივი და ინტერესი არ აქვთ, და მოსალოდნელი არაა, ჰქონდეთ, დასავლეთის წინააღმდეგ ბლოკის შესაკრავად ან რუსეთთან ან ერთმანეთთან. რედ.) და რომ მოყვანილი კონცეფციების რეალური შიში დამყარებულია არა ამ ქვეყნების მხრიდან მეტოქეობის მოლოდინზე, არამედ გლობალური ფინანსური კრიზისის მოლოდინზე, რომელსაც ნიადაგს უმზადებს, თავისდა უნებურად, თანამედროვე მსოფლიოს ფინანსური სისტემა თავისი მონეტარისტული (და არა ფიზიკალისტური) ორიენტაციის წყალობით. (ამ პოლიტიკის მიხედვით, კარგია ის, რასაც ფული მოაქვს, და არა ის, რაც რეალურ პროდუქტს ქმნის). ავტორს მოჰყავს ჰანტინგტონის სტატისტიკური პროგნოზი - რომ 30 წელიწადში დასავლეთი (The west) ჩამორჩება „დანარჩენებს" არა მხოლოდ დემოგრაფიულად, არამედ კონტროლირებული ტერიტორიითაც, სამრეწველო წარმოებითაც და „მთლიანი ეროვნული პროდუქტის" ჯამითაც - მაგრამ არ ეკამათება მას.

აი ჰანტინგტონის ის ძირითადი დებულებები, რომლებსაც ავტორი ეკამათება, და აი მისი კონტრარგუმენტები: ჰანტინგტონი, იდეოლოგიურად მოტივირებულ მსოფლიო დაპირისპირებას „ცივი ომის" შემდეგ ჩაენაცვლა და მომავალში უფრო და უფრო ჩაენაცვლება კულტურული ფაქტორებით განპირობებული დაპირისპირება. ადგილობრივ დონეზე ერთმანეთს დაუპირისპირდებიან ერთის მხრივ მუსლიმანები, მეორეს მხრივ არამუსლიმანები: მართლმადიდებლები, ინდუისტები, აფრიკელები, დასავლური ქრისტიანები და სხვა მეზობლები. (ეს კონფლიქტთა მიკრო დონეა). მაკროდონეზე კი კონფლიქტი იქნება დასავლეთისა და „დანარჩენებს" შორის, რომელთა ბირთვია მუსლიმური და აზიური (იგულისხმება: შორეული აზიის) საზოგადოებები. შეჯახებებს წარმოშობს, ალბათ „დასავლური ქედმაღლობის, ისლამური შეუწყნარებლობის და სინური (ჩინური) გულმოდგინება თვითდამკვიდრების „ურთიერთქმედება". „ისლამური აღმავლობის" ბაზაა დემოგრაფიული ფაქტორი - სწრაფი გამრავლება. ამ პროცესის შედეგად მუსლიმანური მოსახლეობა ახალგაზრდავდება, იზრდება მისი ყველაზე დინამიური და რევოლუციური ფენა - 15-24 წლის ასაკი, რომელშიც დიდ ნაწილს ცოტა ხანში საშუალო განათლება მაინც ექნება და, უდიდესწილად, ურბანიზებული (გაქალაქებული) იქნება. აქედან იშობა ტერიტორიული მოწოლა, დემოგრაფიული მოწოლა (იმიგრაცია). რაც შეეხება არამუსლიმან აღმოსავლელებს, მათი ძალაა სწრაფი ეკონომიკური (საწარმოო)



ზრდა, რომელიც, სხვათა შორის, მათ მუსლიმანებისთვის მასობრივი განადგურებისა და სხვა იარაღის პოტენციურ მიმწოდებლად ხდის.

*ოპონენტი:* კონფლიქტის საშიშროებას ქმნის არადასავლური ქვეყნების სიღარიბე, რადგან გლობალური პოლიტიკა, საბოლოოდ უკონდის პოლიტიკის ხაზით, მათ ჩამორჩენისა და სიღარიბისთვის წირავს. (მაგრამ ოპონენტს აუწყდება, რომ ამ მსჯელობას შეიძლება დაემატოს „ც" ნაწილაკიც „დამნაშავეა" დასავლეთის ცუდი პოლიტიკაც, და არა მხოლოდ ეს პოლიტიკა, რაც შეეხება ჩინეთს, მისი ზრდა დასავლეთს არ უნდა აწუხებდეს, ჯობია, ეს იქნება, თუ დასავლეთმა და „დანარჩენებმა" (The rest) ეროვნულ განვითარებაზე იფიქრებსო!

ამ ცოტა არ იყოს მეტი რეკომენდაციით ოპონენტის ოპტიმიზმი მთავრდება. უდავოდ მართებული მის მსჯელობაში ის არის, რომ სიტუაცია მოითხოვს შეგნებულ მიზანმიმართულ რეგულირებას კაცობრიობის და მისი პოლიტიკური ხელმძღვანელობის მხრიდან.

სურათებზე: 1. ზბიგნევ ბჟეზინსკი
2. სამუელ ჰანტინგტონი
3. კოსმოსური ხომალდის გაშვებისათვის მზადება ჩინეთში.

# ჩრდილოეთ კორეა და იაპონია

შორიდან მაყურებელი უცხოელებისთვის იაპონია და კორეა, გარეგნულადაც და კულტურულადაც ერთმანეთის მსგავსნი არიან. უფრო ახლოდან მაყურებელმა ის მაინც იცის, რომ სამოცდაათიოდე წლის წინ კორეელისათვის იაპონელი საძულველი უცხო დამპყრობელი იყო. ვინ იყო მაშინ იაპონელისთვის კორეელი? ან რა ურთიერთობა არის მათ შორის დღეს?

ჩრდ. კორეის რეჟიმი უკანასკნელია ყოფილი „აღმოსავლეთის ბლოკის" კომუნისტურ რეჟიმთა შორის. გარდა ამისა, მას სხვა კერძო ცოდვებიც აქვს, როგორიცაა, მაგალითად, ადამიანთა მოტაცების პრაქტიკა, მათ შორის იაპონიის მოქალაქეებისაც. ჩრდ. კორეის დღევანდელი ლიდერის, კიმ იონგ ილის სახეს მსოფლიოს თვალში ეს და ამის მსგავსი ფაქტები განსაზღვრავს. მაგრამ ახლა ვითარება შეიცვალა. ჩრდილო კორეამ განაახლა თავისი ბირთვული სამუშაოები ისეთ დროს, როცა არც დასავლეთს, არც დანარჩენ დემოკრატიულსა და დასავლეთთან მეგობრულად დაკავშირებულ მსოფლიოს სრულებითაც არ აძლევს ხელს კონფლიქტის ახალი კერის გაჩენა, ამიტომ იაპონიის მისიაა ის, რომ შუამავლობა გაწიოს ამერიკელების მოლაპარაკებაში კორეის ზედმეტად გაჯიუტებულ დიქტატორთან, რომელმაც გადაწყვიტა აამუშაოს რეაქტორი და „თანმხლებ პროდუქტად" ატომური ბომბისთვის ვარგისი პლუტონიუმი მიიღოს. იაპონიის ლიდერი ჩავიდა კორეაში და, პირველ ყოვლისა, იაპონიის ძველი კოლონიური შეცოდებებისათვის ბოდიში მოიხადა, თავისი ქვეყნის სახელით. კორეის ლიდერმაც აღუთქვა, რაც შეშლილია, აღარ ვიზამო, და ზედ მრავალი სხვა ფრიად საჭირო კონკრეტული სხვა დაპირებებიც დააყოლა. ამით პრობლემა არ წყდება, რადგან ჩრდ. კორეის ლიდერს დღემდისაც დაპირებები არაერთხელ გაუცია. მაგრამ იმედს ის ბადებს, რომ დაპირებების უკან შესაძლოა თანამშრომლობის რეალური ინტერესიც იდგეს. მთავარი, რაც დასავლეთს კორეელებისაგან უნდა, არის ბირთვული პროგრამის გატარებაზე ხელის აღება და რეალური თანამშრომლობა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებათა ფარგლებში, რომლებიც ჩრდ. კორეას ხელმოწერილი აქვს. მთავარი, რაც კორეას უნდა, არის ფული და პროდუქტებით დახმარება, რათა არ განმეორდეს და არ გახვითარდეს შიმშილობა, რომელმაც 22 მილიონიან მოსახლეობას უკვე 2 მილიონი სული გამოაკლო. იაპონიის ინტერესია პირველ ყოვლისა მშვიდობა, მეორეც - მნიშვნელოვან დიპლომატიურ ამოცანაში მხარის როლი და სტატუსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რელიგიური ცხოვრება და პოლიტიკა ინდოეთში




ინდოეთში, თურმე, არსებობს ფართოდ გავრცელებული რწმენა, თითქოს ქრისტიანებს და მუსლიმანებს პირი აქვთ შეკრული, რათა ინდოეთი დაისაკუთრონ... ინდუისტ ქალიშვილებზე დაქორწინების გზით. კოალიციურად მმართველი პარტიის „ბჰარატია ჯანატას" რადიკალური ჯგუფებისა ddა ზომიერი პრემიერ-მინისტრის ვაიპაიის კომბინაცია კრძალავს სახელმწიფოს მიერ რომელიმე პოლიტიკური პარტიის ხელშეწყობას, ამიტომ ოპოზიციაში მყოფ ინდუისტებს (ისინი თავისთავს საერო ოპოზიციად თვლიან, და არა რელიგიურად) მიაჩნიათ, რომ ინდუიზმი ინდოეთში შევიწროებულია. ამ რელიგიას მოსახლეობის ოთხი მეხუთედი ეკუთვნის. ხელისუფლების სეკულარიზმი (პოლიტიკის წარმართვა საერო ხაზით) და აქტიური ინდუისტთა რელიგიური გზნება ძირითადი რელიგიური განხეთქილების საგანია. შესაბამისად, ინდოეთისთვის, სეკულარული (საერო) და ინდუისტური მოტივების ოპტიმალური ურთიერთმიმართება შინაგანი პოლიტიკის ძირითადი საგანია: ინდუისტები უფრთხიან ისლამურ ფუნდამენტიზმს და (რაც ჩვენთვის უცნაურად ჟღერს, რედ) ისლამზე მოქცევის საშიშროებას, ინდუისტური პოლიტიკაკი აფრთხობს რელიგიურ უმცირესობებს და ინდოეთის ტრადიციული სეკულარისტული პოლიტიკის მომხრეებს.

კოალიციურად მმართველი პარტიის დემონსტრაციული კურსია სეკულარიზმი, პრაქტიკულად - რელიგიური უმცირესობების მეტ-ნაკლებად უგულებელყოფა და მათი სპეციფიკური მოთხოვნების იგნორირება. მისი მოკავშირეები, რომლებიც უმცირესობათა ხმებზე ნადირობენ, აიძულებენ მას, რომ შეზღუ-დოს თავისი პოლიტიკის შემტევი ინდუისტური ხასიათი. მაგალითად, არ აძლევენ მას უფლებას, რომ არსებული საქორწინო კანონი, რომელიც მოქალაქის ქორწინებას აწესებს მისი რელიგიური კუთვნილებისდა მიხედვით, შეცვალოს ახლით, რომელშიც პროცედურა უნიფიცირებული იქნება აღმსარებლობისგან დამოუკიდებლად. ინდუისტური შემტევი პოზიცია თავს აიგივებს ნაციონალიზმთან. თავის სასკოლო პროგრამაში (რომელიც მისივე პოლიტიკის ერთ-ერთი ცენტრალური ხაზია) იგი ორიენტაციას იღებს „ფესვებზე და ინდოეთის ადგილობრივ ტრადიციებზე", რომლებიც, ცხადია, ინდუისტურია. რაკი სეკულარიზმი, როგორც ოფიციალური ფორმა, მისი ამ შემტევი პოლიტიკისთვის აუცილებელია დემოკრატიული იმიჯის შენარჩუნების თვალსაზრისით, იგი აქცენტს აკეთებს შემწყნარებლობაზე და ყველა რელიგიათა „ერთიერთსახელოვნებაზე (ერთიერთმსგავსებაზე) ყოველივე ძირითადში, რაც ღმერთისკენ ადამიანის გზას შეეხება". „ინდოობა" („ჰინდუტვაა"), ინდოეთისა და მისი ტერიტორიისადმი ერთგულება „ცხოვრების ისეთი წესია, რომელიც აღიარებს, რომ ყველა გზას ერთგან, სახელდობრ, ღმერთთან მიჰყავართ" -- აცხადებს ინდოეთის ძირძველი პატრიოტული ორგანიზაციის „მოხალისეთა ეროვნული ასოციაციის" - ერთ-ერთი ლიდერი (კოალიციური მმართველი პარტია ამ პოზიციიდან გამოსული ერთ-ერთი შტოა, პოლიტიკური მოსაზრებებით შერბილებული და შელამაზებული). ვინაიდან „ინდოეთი არის ხელიერი (რელიგიური) თანაარსებობის [illegible] „ექსპერიმენტის" [illegible]



სურათზე: მმართველი პარტიის რაზმი. უიარაღოდ იწვრთნება

სასკოლო პროგრამაში აქცენტი უნდა იყოს გაკეთებული „ღირებულებებზე" (იგულისხმება: და არა კონკრეტული რელიგიების ამა თუ იმ მცნებებზე) - ასეთია პარტიის ოფიციალური პოზიცია განათლების საკითხში. მმართველი კოალიციის სხვა წევრები, რომელთაც უფრო ზომიერი პოზიცია აქვთ, ამას ეთანხმებიან, რადგან „თუ ჩვენ ჩვენი ისტორიის რწმენა გვაქვს, ჩვენ უნდა გავაცოცხლოთ (მოსწავლეებში, მისი ცოდნა და მისით სიამაყე". მაგრამ მოწინააღმდეგენი აცხადებენ, რომ ასეთი პროგრამები „მიზნად ისახავს ექსკლუზივისტური, შოვინისტური იდეების განვითარებას, რადგან ამცირებს „მეცნიერებისა და სოციალური ინტერესების როლს ღირებულებათა ჩამოყალიბებაში და განადიდებს რელიგიურ ფაქტორებს იმით, რომ ხაზს უსვამს „ინდოეთის წვლილს მათს ჩამოყალიბებაში. ამიტომ ის შტატები, რომელთა ხელისუფლება, ოპოზიციას ეკუთვნის, ამ სასწავლო პროგრამის წინააღმდეგნი არიან.

შეთავაზებული პროგრამა არაა „ექსტრემისტული," იგი საშუალო პოზიციისაა. არსებობს ისეთი სახელმძღვანელოც, სადაც მუსლიმანები, ქრისტიანები და ფარსიები „უცხოელებად" არიან მიჩნეულნი.

როგორია ამ მეტ-ნაკლებად იდეოლოგიური ურთიერთობების მიმართება პრაქტიკასთან? შემტევი ინდუიზმი, რომლის ყველაზე ლია გამომხატველია „მოხალისეთა ასოციაცია, დანაწევრებულია რამდენსამე სხვადასხვა ორგანიზაციად, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან რადიკალიზმის ხარისხით და ერთმანეთის მიმართებაზე. ასეთების არ [illegible] ალურად. ყველაზე რადიკალური ორგანიზაცია, რომელიც „პირდაპირ ქმედებას" ეწევა განსხვავებულთა მიმართ - ბაჯრანგ დალი - გარიყულია. თვითონ „ასოციაცია" მასობრივ ვარჯიშებს ატარებს თავისი „ხასიათის აღზრდის" მიზნით - და [illegible] ქმნის მომავალ შეიარაღებულ ძალას. იძულებითი პოლიტიკური დათმობები, რომელზედაც კოალიციურად მმართველი პარტია მიდის „იმეჯის" დაცვის მიზნით, აცოფებს იდეოლოგებს. ბაჯრანგ დალი დაუფარავად ცდილობს, თავისი წევრები შეიარაღებული მოქმედებისთვის მოამზადოს. მთლიანობაში აღებული, შემტევი ინდუიზმის დანაწევრების ეს სიტემა ასე მოქმედებს, „როგორც კარგი კასტური სისტემა", რომელშიც ყველა ელემენტი დამოუკიდებლად ასრულებს თავის ფუნქციას, მიმართულს საერთო მიზნისაკენ.

გუჯარათის შტატი, სადაც ინდოეთის დღევანდელი გამარჯვებული პარტია ერთპიროვნულად, უკოალიციოდ არის ხელისუფლებაში, იმაზე მიანიშნებს, თუ რაა ამ პარტიის ჭეშმარიტი იდეალი. აქ რელიგიური უმცირესობები განსაკუთრებით დათრგუნულია და პოლიცია გულგრილად უყურებს არაინდუისტთა ადამიანური უფლებების მრავალრიცხოვან წვრილმან დარღვევებს. ზოგი თვლის, რომ აქ ახალი ფაშიზმი იშობა. მაგრამ - როგორც ამას ხაზს უსვამს The Economist, მაინც ფაქტია, რომ ლიდმაშტაბიანი რელიგიური შეტაკებები და სისხლისღვრა იქ აღარ ხდება მას შემდეგ, რაც იქ [illegible] მმართველები მოვიდნენ.

# თავისუფლება თუ თვითნებობა და მოკრიანება

საქართველოში ძნელად, მაგრამ მაინც ვითარდება სამოქალაქო საზოგადოება და ეს პროცესი მიმდინარეობს ხელისუფლების მხრიდან ყოველგვარი ხელშეწყობის გარეშე. საზოგადოებაში არსებული სიღატაკე, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე შეგნებული ნაწილის ძალისხმევით.

საზოგადოების სხვადასხვა ფენებსა და დაჯგუფებებს შორის ცივილური, სახელმწიფო ინტერესებზე დაფუძნებული ურთიერთობების სათანადო გამოუცდელობის გამო სახეზეა საკმაოდ მძიმე სოციალურ-ფსიქოლოგიური ფონი, რომელსაც უფრო ამძაფრებს ქვეყნის ყოველმხრივი და საყოველთაო კრიზისი ყველა (სამთავრობო თუ არასამთავრობო) სფეროში და დონეზე. ასეთი მძიმე მდგომარეობის ჩამოყალიბებას ხელისუფლების აღვირახსნილი კორუმპირებულობის გარდა ხელი არც ე. წ. თავისუფალი მასმედიის მნიშვნელოვანმა ნაწილმა დააკლო. საკუთარი ფსევდოთავისუფლების სახელით იგი 30 ვერცხლის ფასად სასტიკად უსწორდება უმეტეს შემთხვევაში პატიოსან და ქვეყნისათვის თავდადებულ, პატრიოტ ადამიანებს, ან იმის ნაცვლად რომ ტრიბუნა დაუთმოს წესიერ და მაღალ ზნეობრივ, საზოგადოებისათვის მისაღებ და საჭირო ადამიანებს, ჭკუას ეკითხება და საზოგადოებას წარუდგენს უზნეოებს, ისევ და ისევ 30 ვერცხლის ფასად.

ჩვენში, სამწუხაროდ, თავისუფლება ვერ გაურჩევიათ თავნებობისაგან და მოპრიანებისაგან. არადა, ზუსტად რომ თავნებობისაგან და მოპრიანებისაგან გათავისუფლებაა თავისუფლება. „ზუსტად ასე მოპრიანა გაზეთ „ახალი თაობის" ჟურნალისტს, შეევსო საკუთარი ხალარი და 2003 წლის 5 თებერვლის გაზეთ „ახალ თაობაში" გამოქვეყნდა „შეკვეთილი" წერილი, სათაურით „ზოდელავა საკაშვილის ნება-სურვილს ემორჩილება" რომელშიც დამკვეთმა, როგორც ჩანს, საკმაოდ სოლიდური თანხა გაიღო, რათა მიეყენებინათ პირადი შეურაცხყოფა საზოგადოება „სამგორის" თავმჯდომარე ქალბატონი გულიკო ზუმბაძისათვის და ამით მიეყენებინათ ზიანი აგრეთვე საზოგადოება „სამგორის" საქმიანი რეპუტაციისათვის.

გაუცნობიერებელ მკითხველს მოკლედ მოვახსენებ შემდეგს: 1997 წელს დაარსდა და 1998 წელს რეგისტრაციაში გატარდა საზოგადოებრივი კავშირი „სამგორი", რომლის თავმჯდომარეც დღიდან დაარსებისა არის ქნი გულიკო ზუმბაძე. საზოგადოებამ ენთუზიაზმით დაიწყო საქმიანობა და საკმაოდ დიდ წარმატებებსაც მიაღწია. უშუალოდ ქნი გულიკოს თაოსნობითა და ორგანიზებით წელსაც (როგორც წინა წლებში) მოეწყო ისანი-სამგორის რაიონში, „განთიადის" კულტურის სახლში პენსიონერთათვის საქველმოქმედო კონცერტი შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით. კონცერტის დასრულების შემდეგ პენსიონერებს გადაეცათ საახალწლო ნობათი: აუცილებელი საკვები პროდუქტები (შაქარი, ფქვილი, სხვადასხვა ტკბილეული).

ერთი საგაზეთო სტატია საკმარისი არ არის იმისათვის რომ, მთლიანად აღიწეროს საზ. „სამგორის" საქმიანობა, მაგრამ ერთს კი აუცილებლად ვიტყვით. როდესაც თბილისის ახლანდელი საკრებულო არჩევისთანავე გაუშვეს „უხელფასო დაუმსახურებელ შვებულებაში" რამდენიმე თვით და ამას ბოლო არ უჩანდა საზ. „სამგორმა", პირადად გ. ზუმბაძის თაოსნობითა და ორგანიზებით, სახალხო დამცველის ოფისში მოეწყო არასამთავრობო ორგანიზაციების შეკრება, რომელთაც კატეგორიულად მოითხოვეს, რომ დაეწყო ფუნქციონირება საკრებულოს, რათა შესაძლებელი ყოფილიყო თბილისის ისედაც უამრავი მოუგვარებელი პრობლემის მოგვარების დაწყება. ამის შემდეგ ამ პრობლემასთან დაკავშირებით გაიმართა სხვა მრავალი შეხვედრა ანალოგიური მოთხოვნით. სწორედ დროის ამ მონაკვეთში მოხდა გულიკო ზუმბაძისა და მიხეილ სააკაშვილის შეხვედრა და გაცნობა. აღნიშნულ შეხვედრაზე შეიტყო პირველად მიხეილ სააკაშვილმა საზ. „სამგორის" საქმიანობის შესახებ. ასე რომ, არც მანამდე და არც მას შემდეგ საზ. „სამგორი" არ იყო და არც ახლა არის რაიმენაირ პოლიტიკურ კავშირში მიხეილ სააკაშვილთან და მის პარტიასთან, რადგან საზ. „სამგორის" მოღვაწეობის პრინციპებში არ შედიოდა არასდროს რომელიმე პოლიტიკური პარტიის საფარქვეშ მოქცევა. ეს, ერთის მხრივ შეზღუდავდა მას უცხოეთის დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობისას და მეორეს მხრივ, მოუსპობდა თავისუფალი მოქმედების საშუალებას თბილისის საკრებულოს ამოქმედების შემდეგ საზ. „სამგორმა", სხვა ანალოგიურ კავშირებთან ერთად საკრებულოსთან დაამყარა მჭიდრო ურთიერთობა თანამშრომლობისათვის.

საკრებულოს ნაწილით მერიის მიერ საკადრო ცვლილებების „კარგი" მუშაობის გამო შეეწირა ისანი-სამგორის რაიონის გამგებლის მოადგილე სოციალურ დარგში, „ერთ-ერთი საუკეთესო მუშაკი" მანანა გონაშვილი (გაზ. „ახალი თაობა"). აღნიშნული ვაკანსიის დაკავება მიხეილ სააკაშვილმა შესთავაზა საზ. „სამგორის" თავმჯდომარეს გულიკო ზუმბაძეს, რომელმაც საკმაოდ ხანგრძლივი ფიქრისა და საზ. „სამგორის" წევრებთან მოთათბირების შემდეგ თანხმობა განაცხადა, რასაც დაინტერესებული პოლიტიკური პარტიების მხრიდან მოჰყვა ბინძური, უზნეო და ამორალური კამპანიის წამოწყება პირადად გულიკო ზუმბაძისა და საზ. „სამგორის" წინააღმდეგ. 2003 წლის 5 თებერვლის „ახალ თაობაში" გამოქვეყნებული წერილიც ამის დაგვირგვინებაა. გაზეთის მესვეურთა ლოგიკა ასეთია: ფულია გადახდილი და ამიტომ ეს წერილი სარეკლამოა. თუ გნებავთ საპასუხო წერილს გამოგიქვეყნებთო. ე. ი. გამოდის რომ ფულადი საზღაურის ფასად საჯაროდ ადამიანის უსამართლოდ შეურაცხყოფა და ლანძღვა მათი (გაზ. „ახალი თაობა" და კოლექტივი) ზნეობრივი კრედოა, ისინი ამით არსებობენ და იკვებებიან, ასეთი შემოსავლებით ირჩენენ თავს და არჩენენ საკუთარ შვილებს, შენ კი წადი და იმართლე თავი, წერე გამამართლებელი წერილები, მიუხედავად იმისა, ხარ თუ არა ისეთი, როგორადაც საკუთარი კეთილდღეობისათვის ყველაფრის მკადრებელი წარგადგენს საზოგადოების წინაშე.

სამართალი, ზნეობრიობა და სახელმწიფოებრიობაა ის კატეგორიები, რომლითაც, ჩვენი აზრით, უნდა ხელმძღვანელობდეს დღეს ყველა ის პიროვნება, ვისაც რაიმენაირი კავშირი აქვს პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებასთან. ამ თვალსაზრისით კი ზემოთ მოყვანილი პუბლიკაცია კრიტიკას ვერ უძლებს, იგი არც სამართლიანია, არც ზნეობრივია და არც სახელმწიფოებრივი და თუ რატომ, ეს ძალიან ვრცელი თემაა და აქ ამაზე ვერ შევჩერდებით. ისე კი, თუ ვინმეს აინტერესებს ეს თემა უფრო სიღრმისეულად, ვიდრე ეს შეიძლება გადმოიცეს საგაზეთო წერილში, თანაც არაფილოსოფოსისაგან, შეუძლია გაეცნოს ჰეგელის ფილოსოფიურ ნაშრომს – „ისტორიის ფილოსოფიას"– ქართულ ენაზე.

საინტერესოა, რაა საჭირო იმისთვის, რომ კომკავშირულ-კომპარტიული წარსულის მქონე მოქმედ საჯარო მოხელეს, რომლის ქვემდებარე სამსახური დიდი წარმატებებითა და არაკორუმპირებულობით არ გამოირჩევა, ადამიანმა უწოდოს „ერთ-ერთი საუკეთესო მუშაკი,", ხოლო იმას, ვინც ამ მუშაკს აიძულებს ბიუჯეტის ფული გახცეს მათზე, ვისაც ეს ეკუთვნის და რაღაც დონით ახერხებს კიდევაც ამას - „უიმედო წარსულის მქონე" მით უმეტეს, თუ არ იცნობ ამ უკანასკნელის არც წარსულ და არც ამჟამინდელ მოღვაწეობას და ენდობი ანონიმურ კოლექტიურ წერილს, რომელსაც ვითომდა 50 ადამიანი აწერს ხელს და ამ ადამიანებს ისანი-სამგორის რაიონის მოსახლეობად მოიხსენიებ, სადაც 170 000-ზე მეტი მაცხოვრებელია. სინამდვილეში ხომ ამ ადამიანს რაიონში უფრო მეტი მადლიერი ჰყავს, ვიდრე მომდურავი, ვინაიდან მან ცარიელი ხელებით ბევრად მეტი სიკეთე გააკეთა, ვიდრე იმ ჩინოვნიკმა, რომელსაც ხელი მიუწვდება კოლოსალურ საბიუჯეტო სახსრებზე და რომელსაც ყველა წესისა და კანონის დაცვით რომ ელვაწა, მართლაც ექნებოდა უამრავი მადლიერი და მოსახსენებლადაც არ გაუხდებოდა საქმე

*საზ. „სამგორის" გამგეობის წევრი,*
*თავმჯდომარის მოადგილე*
*ტრისტან ბერიანიძე*
*10.03.2003წ.*

# ღია წერილი
# ნოდარ დუმბაძეს

ნოდარა, ძამა, სანამ ეს წერილი სულეთამდე მოაღწევს, ალბათ, უთვალავი საიქიო სტუმარი წეიკითხავს და გამცინებს: „აი ვინცხა ბიკენტიე მუჯირია გააბდალებულა, საცოდავი. თვარა რამდონი ხანია, ნოდარიე დუმბაძე მოკტაო". ამფერ ირონიას, თუ გაცინებას ქი ვარ შეჩვეული, მარა, იმაში მაინც ვარ დარწმუნებული, რომე შენ, ბებიაშენი ოლღა, ილიკო და ილარიონი არასოდეს მოკტებით. მაი კარა, არც „მურადას", „ფაქიზოს" და „სერაპიონს" უწერიათ სიკტილი, იმდონი საყვარული დაიმსახურენ ხალხში.

სანამ დედამიწის ზურგს მზის სხივი ათბობს, შენი „მზეც" იბრწყინებს და „მზიანი ღამეც" იბდღეიალებს.

14 იელისი, შენი ამქვეყნად მოვლენისა და ქართული იუმორის ერთხელ და სამუდამოდ გაბრწყინების დღეა. იმ ჯანმრთელი იუმორისა, რომელსაც მხოლოდ გაცინების კარა, ღვარღვალა კურცხალით ატირების უნარიც რომ შესწევს. რა იყო, მაინც სა გქონდა მაგდონი იუმორი მანამდე დამწყდოული, ყველა ერთად რომ გადმოაფრქვიე?!

კაცი, რომელიც „მარადისობის კანონს" დაწერს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი მუშაკების დუეკითხავად, თვითონაც იმ მარადისობის ნაწილია და აკი შერჩი კიდეც მას!

ამ წერილის გამოგზავნა და დაბადების დღის მილოცვა 14 იელისს მინდოდა, მარა ვერ მოვასწარი. რა ვქნა? - ერთ თვეს რომ სოფელში ვარ, ორ თვეს თბილისში ვდგავარ. ვსპეკულიანტობ, დეზერტირის ბაზარზე საქონელს ვყიდულობ და ვაკეში ვყიდი. ახლა ამას ბიზნესს უძახიან. სოფლის მეურნეობასაც ქი მივხედავ მარა, შაქარს და საპონს ხომ ვერ მევიწევ ყანაში. ვერც ლღვის ფოთლებით შევმოსავ ცოლ-შვილს. ცოლს მითუმეტეს. იმფერი გასუქდა პურით და ტკბილი ჩაის სმით, რომე ფოთოლი კარა, ლელვის ბუჩქიც ვერ დაუფარავს სხეულს.

ამ გადასახადებმა თლა მოგკილით ბოლო. ბალღების წიგნებს და სხვა სასკოლო ნივთებს უამრავი ფული სჭირია. რას ჩამოთელი კაცი ყორიფელს, რაშიც ფული გჭირია. ხოდა, ქი ვარ ასე გაბმული ჩოხატაური-თბილისის გზაზე.

რავა სულით და გულით გინდოდა ძამა, ციხის სახურავზე „თეთრი ბაირაღის" აფრიალებას და სამართლიანობას მოსწრებოდი. მარა... მაგას ჩვენი და დღეს დაბადებული თაობა კარა, ვერც ერთი თაობა ვერ მოესწრება. ალბათ, ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე.

იმდენადაა ჩვენი ციხეები გადატენილი რომე, „პარაშასთან" დასაჯდომი ადგილებიც ალარ დარჩა. რას იზამდენ? - დასაჭირავ კაცს „N ტურში" ხომ არ გუუშობდენ? - სკოლებისა და საბავშვო ბაღების აშენებას შეუშვებენ და ციხეებს აშენებენ. იმფერი კომფორტული ციხე ოუშენა პატიმრებს მიხეილ სააკაშვილმა, გამოსვლა ალარ მუუნდება, თურმე, კაცს. ღმერთმა ააშენოს მისი ოჯახი - რა ჯობია კაი ციხეს?!

რავარი ბედნიერი კაცი ხარ ძამა, რომ არც ზურაბ ჟვანიას იცნობ, არც გოგა ბოკერიას, არც ლევან რამიშვილს, არც ლევან მამალაძეს და კიდო ვინ მოთვლის რამდენ დოლარებზე სულგაყიდულ სულიერს (მე იგენს პიროვნებებს არ ვუძახი).

ლანა გეხსომება შენ, ალბათ, ღოღობერიძე. ჩვენი ბიჭობის პერიოდში რას არ ჭორაობდენ მასზე და მის ქალიშვილზე, ამას შობიან და იმას შობიიანო, მარა მე არ მჯერავს იგი ჭორები. მაგი რომ მართალი იყოს, ელჩად არ გუუშობდა ედუარდ შევარდნაძე მაგფერს. რა უქნია, თუ იცი იმ შეჩვენებულს. რაცხა, იმფერ ქაღალდზე მუუწერია ხელი, რომე სტალინის მიერ 1944 წელს მესხეთიდან გადასახლებული 90 000 თურქის ნაცვლად 400 000-ს შემოგვისახლებენ პაწა ხანში თურმე (დაგვიცავს ღმერთი!) სადაა ძამა მესხეთში მაგდონი ადგილი? - თვითონ ძლივ ეტევიან მესხები. მაგენის შემოსახლებას და კიდო რაცხა რაცხეებს, ანტიეროვნულ საქმიანობას ემსახურება ეგრეთ წოდებული „თავისუფლების ინსტიტუტი". მე იგენს „ნამუსიდან თავისუფლების ინსტიტუტი" შევარქვი. რეიზა თუ იცი?. ხალხი რომ 400 000 მტრის შემოსახლებაზე თანხმობას განაცხადებს და ქართული, მართლმადიდებლური სარწმუნოების წინააღმდეგ მებრძოლ სექტებს მხარს დუუჭერს დოლარების გულიზა, მაგფერს ნამუსი და ზნეობა აქვენ?!

გუშლამ ვინცხა-ვინცხები შეესიენ „თავისუფლების ინსტიტუტს" და [illegible] გამოე დაუჭირეს. იგენის მარჯვენამ გეიხარა, მარა, მე მაინც გული მაკლია იმის, რომე [illegible] ადგილზე და ზოგიერთები [illegible] კარა. [illegible]

ამ აბდაუბდა ლაპარაკ-ლაპარაკში კალამ მთავარი სათქმელის თქმა დამავიწყდა. საბჭოთა კავშირი დეიშალა ძამა შარაზე გამხმარი ფუნასავით. იგი ქი დეიშალა, მარა რუსმა ვერ მეიშალა რუსობა. აფხაზეთი და სამაჩაბლო (ქი რომ სამხრეთ ოსეთს უძახდენ კომუნისტები და ახლაც მასე რომ უძახიან იგენის ხაბიჭვრები) წაივართვენ. იმფერი ომი „გეითამაშენ" ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ დასაშინებლად რომე, დედა შვილს ვერ ეძებდა. 30 000 კაცის სიცოცხლე შეეწირა პროვოკაციულად წამოწყებულ ომს. ქვაი ქვაზე არ დატიენ რუსებმა, იმასაც ქი ლაპარაკობენ, რომ ედუარდ შევარდნაძემ პრეზიდენტის სკამში გაცვალა საქართველოს ტერიტორიის მესამედიო, მარა რას გეიგებ კაცი?

ისე, სანამ ომი და სისხლისღვრა იყო, პრეზიდენტი ყოველდღიურად აცხადებდა ტელევიზიის საშუალებით: „ამ ომიდან ღირსეულად უნდა გამოვიდეთო". ქი გამოვიდნენ თვითონ და მისი დამქაშები შიშისაგან ჩაფსმულნი, სხვისი შვილები შეატოვენ რუსის ჯარს ხელში. „უახლო ომი იყოო" ომის დამთავრების შემდეგ განაცხადა პრეზიდენტმა!

შევარდნაძეზე რომ ამბობდნენ, დიდი პოლიტიკოსიაო, მე ყოველთვის ვრაზობდი. მარა, რომ დავუკვირდი კარგად, მართლაც, ყველაზე დიდი ყოფილა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკათა პრეზიდენტებს შორის - ასაკით, ჭკუით - დიდი ვეფერი, თითქოს ალიევი უფროსიაო, მარა მე რომ გამოვიანგარიშე, უფროსიც ქვა 5თვით. ყველაზე უფრო იმის მეშინია, ბრეჟნევს რომ ღამის ქოთნით დაყვებოდნენ და მაინც ვერ ასწრებდა ქოთანში ..., მაი არ დაემართოს აწი, გინდა ახლა, ჩვენმა პრეზიდენტმა რომ თუდაც გაეროში შეირცხვინოს თავი?!- დაგვიცვას ღმერთმა!

ეიცი, გაგიხარდება ძამა, რავარც ჰუმანურ კაცს, სასჯელის უმაღლესი ზომა- დახვრეტა, 14 ლარიანი პენსიით შეუცვალეს ხალხს, მარა, ამფერი „ჰუმანური" კანონის შემოღებამ გაცილებით მეტი სიცოცხლე შეიწირა. აბა რა იქნება? - 14 ლარს რომ დუუნიშნავ ადამიანს და მასაც არ გეიმეტებ 3-4 თვეში ერთხელ, რა გადაარჩენს იმ ხალხს?

ჩვენი სოფლის ნახევარი შიმშილით მოკტა. შაქრიე ღელუკამ ბაზარში გუუყარა კისერი. მელენტი გარდაფხაძემ მეზობლისაგან ნასესხები ნავთი გადეისხა ტანზე და თავი დეიწვა. ვასასი სიკინჭილაძემ მატარებელს დუუდვა თავი. ბიკენტი [illegible] და [illegible] ხისიდან ჩავარდა. აბიბო ჩხარტიშვილს, დამიანა ბურძგლიას და სავლე პაიჭაძეს ინფარქტმა დუუტკლიცა გულები. კალისტო შევარდნაძემ თოფი დეიხალა შუბლში. მარა გადარჩა - ჩარჩმა ყოფილა გადმობრუნებული მასრიდან. რა [illegible] მაგფერ გადარჩენას? - გაამდიდრებულია საცოდავი. სამოც[illegible] წლის ცოლს [illegible] მე „ბინიდან ფული მარიამ და სა[illegible] ფული კარა. [illegible] არა აქვს იმ გაჭირვებულს და [illegible] ხდება მაგდონს გერონტიე ტრაპაიძეს ცოლი შუშანა წნევამ გეიქნია და ლოგინზეა, აკვაჭული.

მამიდაჩემი გეხსომება, ალბათ, - ოლიმპიადა, შენ რომ „მოფერებით" „სპარტაკიადას" უძახდი. პენსიის რიგში იდგა ორ დღეს და მესამე დღეს წნევამ გეიქნია იგიც. ექიმიზა გეიქვა თურმე ვინცხა, მარა ექიმს უთქვამს: -ფული თუ არ გაქვენ, არ წამოვალო და მოკტა საცოდავი"

მასეა ძამა, ახლა საქართველოში სიცოცხლე ფული ღირს. ვისაც ფული არ გვაქვენ, განწირული ვართ სასიკვდილოდ. რაც ფული გაგვაჩნდა ქართველ ხალხს, იგი ყაჩაღების იმ 5-მა პროცენტმა დეისაკუთრა, დღეს რომ ფუფუნებაში ცხოვრობს. ჩვენ 95%-ს სული გვიდგას ტყვილა!

რადა დაგიმალო და, მშურს შენი ძამა. აქანაც კაცურად იცხოვრე და აქედან პირდაპირ სამოთხეში დურთე თავი. ჩვენ რა ვქნათ, აქანა დარჩენილებმა, რაფერ გინდა გუუძლო ცოცხალმა კაცმა ჯოჯოხეთს?! არ გჯერავს ხომ, აქანა ჯოჯოხეთი რომაა? - რა ქვია, აბა, იმას, არსაიდან შემოსავალი რომ არ გაქვს და ყოველ ნაბიჯზე ფული რომ გჭირია?! ბალანა რომ გყავს და გიჩივა: „ბაბუ, მშიაო" და საჭმელი რომ არ გაქვს აფერი, ფეხის თითები რომ უჩანა ვინცხას ნაჩუქარი ორი ნომრით დიდი ფეხსაცმელიდან ზამთარ-ზაფხულ, ოჯახის ყველა წევრი უმუშევარი რომაა, ჩაუცმელ-დუუხურავი, ექიმთან რომ ვერ წახვალ, წამალს რომ ვერ იყიდი, მშობელი რომ მოგიკვდება და მეორე სოფელში ვერ წახვალ უფულობის გამო, აი არაა ჯოჯოხეთი?! მაქაური ჯოჯოხეთი, აქაურთან შედარებით სამოთხე იქნება, მასე მგონია მე!

10 წელზე მეტია, ნოდარა ძამა, რაც საქართველო და ქართველი ხალხი [illegible] საბჭოთა კავშირის [illegible] ნამუსიდან და ზნეობიდან, ხომ გახსოვს, ბაბუაშენი რომ გიჩიოდა: „კაცს რომ შუბლის ძარღვი გოუწყდება, მისი საქმე წასულიაო" გუუწყდა კარა, თლა მოსახლეობის [illegible] ამხელა საქართველოში ერთი თვალ[illegible] არ [illegible] ნაწილს. შენ რომ შენი კლასელი რვაი წლის თალიკოს ჭიპის ქვემოთ ხალის დანახვა გაინტერესებდა და განცვიფრებდა. ახლა 18 დან 58 წლამდე თითქმის ყველა ქალს უჩანს ჭიპიც, წელიც, მკერდიც და უწის რომ სასირცხვოდ იყო მიჩნეული, იგი ნაწილებიც, ორი იმფერი ადგილი აქვენ მხოლოდ დამალული, რომც მეინდომონ, მაინც ვერ გამოაჩენენ. შენ რომ ინგას ბოზობა გიკვირდა, ახლა იმდონი ინგა, ნანა, მანანა, მარინა თუ ვინცხა ოხრებია გაბოზებული, რომ იცოდე სირცხვილით დეიწვობოდი. საცოდავი მურტალო რომ გამოაჭენე ქურდობისა და ნარკომანიის გულიბიზა, ახლა ნახევარი საქართველო ქურდი და ნარკომანია. უბედურება იგია, რომე, აი ბოზები, ქურდები და ნარკომანები ზედა ეშელონებშიც ყოფილარიენ მოკალათებული და შესანიშნავადაცა გრძნობენ თავს, ფაქტიურად იგენისაა ცხოვრება. იგენის ხელშია ქვეყნის მთელი სიმდიდრე. აი ამბავი ყველამ ვიცით, მარა რომელი სულელი ამეიღებს ხმას? - ან სახლში მოკლავენ, ან ავარიას მუუწყობენ, ან დეიჭირავენ და აიძულებენ პოლიციის საშმართველოს ზედა სართულიდან გადახტეს.

შენ რომ კუკარახას [illegible] და უბნის პატრონად რომ მიგაჩნდა, იგი კუკარაჩა მხოლოდ შენს ნაწარმოებს შემორჩა. იმ დონეზე ახლა პოლიცია გაბრწყინდა-გაათასმაგებული, რომე იმ „უხამსო" და „უსამართლო" საბჭოური წყობის დროს ვერც წარმოედგინა კაცს კი, რა თქმა უნდა. - მაშინაც ქი იყვნენ პოლიციის თანამშრომლები მექრთამეები სახლია კონტრაბანდული ქლიავის იყენს, ნარკოტიკების გამსაღებლები, ქურდები და ა.შ. მარა, რაც ახლა ხდება, კატასტროფაა ნამდვილი. კაცი რომ პოლიციაში გასამდიდრებლად მიდის. იგი პოლიციაც დაღუპულია და სახელმწიფოც. თუმცა, ჩვენს „სახელმწიფოს" დაქცევა არ უწერია, იმიზა რომე, აი სახელმწიფო არაა. შევარდნაძემაც ქი აღიარა: „ეგი ქვეყანა არააო". ახლა უნდებიენ, რომე უღატაკეს ქვეყნად გამოაცხადონ, მარა ერცხვინებათ ამდონი მილიონერების ფონზე.

კინაამ დამავიწყდა, ჩემო ძამია, ეროვნება და მამის სახელი ამეიღეს საბუთებიდან, კი, ბატონო, ვინც მაი აქმე ჩეიდინა, ყველა გოურკვეველი ეროვნების და უმამოდ აღზრდილი ნაბიჭვრებია და სულაც არ ენაღვლებათ, ჩუუწერენ თუ არა საბუთებში ვინაა და „ვისიანია", მარა დანარჩენებს რას ერჩიან. ამას წინათ ლადიმერა ბურკაძე შემხთა ჩოხატაურის ბაზარზე, ჭუჭყელებიან მოჭვას ყიდდა საცოდავი. „სხვაი აფერი არ მაქვს გასაყიდი და პურის ფულს მაინც გავაკეთებო მითხრა". რა მკითხა, თუ იცი? - „ბიკენტი, შენ რომ პოლიტიკაში ერკვევი, მე იმდონი სა ვიცით. თუ კაცი ხარ, ამიხსენი ერთი, აი ეროვნება თუ ჩამოაცილეს ქართველებს, „საქართველო" რაღას უნდა ნიშნავდეს აწიო". არაა მართალი?!

„ჩვენი ბიჭების" დარდი ნუ გექნება ნოდარა, შესანიშნავად გრძნობენ თავს. ყანას რომ საშინელი სარეველა კლარტაი მოედება, ისე არიან მოდებული თბილისის ქუჩებს. ვერც ფეხით გეივლი ქუჩაში და ვერც მანქანით. ზურგში ბალანმოკიდებული ბალნები ლამის მანქანებს შუუძვრენ ქვეშ, [illegible] ფული გამოაღლონ ცინცხას. ჯგუფ-ჯგუფად დაწანწალებენ მთელ თბილისში. ვინაა პატრონი?! - ქალაქის მერი მაგიზა კარა, მიწისძვრისგან დაზარალებულ ხალხზე არ ზრუნავს.

[illegible] თბილისში? [illegible] ვერ ნახავ კაცი [illegible] იმდონი მათხოვარია, ქალი, კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა ... ბავშვები ქართველი ქალი თუ გახსოვს მათხოვარი საქართველოს [illegible] ცოდნას გაფიცებ? - ახლა იმდონია, ვერ წარმოიდგენ. ზოგი დგანა, ზოგი ჯდანა, ზოგიერთები ქიც წვანან პირდაპირ ტროტუარზე. რას იზამ? - როცა ქვეყანას პატრონი არ ჰყავს, ყორიფელს უნდა მოელოდე კაცი!

არა და, პრეზიდენტიც გვყავს ვითომ, პარლამენტიც და მთავრობაც, მარა რათ გინდა? - იგინი ყველა მის-მის ოჯახებზე ზრუნავენ. მეტი უბედურება რა გინდა?, ყველა დარგის მინისტრი და სამინისტრო არსებობს, თვითონ დარგია მომსპარი და მოსოდომგომორებული. მაი კარა, იგი მაინტერესებს, პარლამენტს რომ 235 დეუსაქმებელი წევრი ყავს, რისთვის უნდებიენ? მაგდონი ადამიანი სოფლის მეურნეობაში რომ დაესაქმებიათ, მის-მის ოჯახებს არჩენდნენ ქი მაინც მაგენისა და სამინისტროების რჩენას სჭირია მთელი ჩვენი ბიუჯეტი. რაში უხდიან ხელფასს ვერ [illegible] პარლამენტარებს [illegible] ხალხს მთელი ბიუჯ: „გუშლამ ამდონი კანონი და ამდონი მივიღეთო, დღეს და ხვალ კიდო მეტს მივიღებთო... ვის რა პიკტილათ უნდა მაგენის კანონები. პური და შაქარი ესტირება ხალხს, კუჭი რო ამოიყსონ რაცხანაირად. ნოდარა, მე ხომ პოლიტიკაში ბეცი ვარ, გადასახადის ფული და, ბალნებს ვუთვლავარ, იმფერ კონსტიტუციას დავიწერ, ხალხს და ქვეყანას რომ სჭირია. მაგენმა თავიანთ ოჯახებს და ყოფა-ცხოვრების მოარგენ აი კანონები"

ნამდვილი დაღლილე ძამა და ვეთხოვე წერას. დახარჯვის მაქანა რო მჭამს, მაშინ მოგიყვები. ერთი იმფერქტი ფეხზე გადაიტანე, მეორე ლოგინში და მესამეს ველოდები პაწა ხანში. აი ჩემი წერილი თუ ჩუუვარდა ხელში ვინმეს, ეფერი მალე გამომისტუმრებენ და მაქანა მეჭყვლება. რა გვექნება საქმე მეტი?!

**P.S.** ნოდარა ძამა, შენ დიდი ხნის წასული ხარ მაქანა, შეიძლება ალარც გახსოვარ. მე შენი კლასელი და თანასოფლელი ბიკენტი ვარ, მუჯირი, დაჩიულა [illegible] იმარიე ღლონტთან და ლადიკო სურგულაძესთან ერთად რომ ვიჯექი ბოლო მერხზე კლასში.

გუშლამ ყანას ვთოხნიდი მერეში და შენი „ხაზარულა" გამახსენდა, ბებიამ მისი მოჭრა რომ დაგავალა და შენ ვარი რომ უთხარი. ცოცხალია, ცოცხალია და რაფერ მოვჭრათ. ნეტავ შენს თვალებს, რომ ვერ ხედავ, რა ხდება საქართველოს ტყეებში. პირწმინდად ჭრიან აი ეშმაკზე სულმიყიდული ნაძირალები და თურქეთში მიაქვენ. სადღაა ტყე? - პაწა ხანში ბუჩქებიც არ დატიებენ, დასაფლავად რომ დეიმალოს კაცი. სამი დღის წინ გოდოუხადეთ ორმოცი საცოდავ კაპიტო სიკინჭილაძეს (აცხონა მისი სული ღმერთმა). იგი რომ მოკვტა, არც კუბოს საყიდელი ფული აღმოაჩნდა სოფელში ვინმეს და არც ფიცარი. მისივე ნალია დავშალეთ და იმით გუუკეთა კუბო გერონტი ტრაპაიძემ – ააშენოს მისი ოჯახი ღმერთმა.

ერთი სიტყვით, მოჭრილი გვაქვს თავი კისერში, მთელი მსოფლიოს წინაშე შევჯავეთ ქართველები, ძამა.

ახლა კარგად იყავი ჩემო ნოდარა. მალე შეხვედრამდე საიქიოში.

[illegible]

შენი ბიკენტი მუჯირი

წერილი იპოვა
ნიკოლოზ იოსებიძემ






# ვ. ნ. შონია

## ბოროტების სათავე, ანუ როგორ შეთითხნეს „მეგრელთა საქმე“

გაგრძელება. დასაწყისი „საქართველო“№8-16, 2002 №1-2, 2003წ.

სტალინის სიკვდილის შემდეგ „პრავდა“ წერდა: ...„სკკპ ცკ პოლიტბიუროს საჭიროდ მიაჩნია, ნიკიტა სერგეის ძე ხრუშჩოვი მთლიანად მუშაობდეს პარტიის ცენტრალურ კომიტეტში“. როგორც წინათ აღვნიშნეთ, მალე ხრუშჩოვმა პირველი მდივნის პოსტი დაიკავა. ამაში მას ბერიამაც შეუწყო ხელი. ბერიას ეს აწყობდა, რადგან ორი დიდი თანამდებობის ერთი კაცის ხელში მოქცევით მას ეძლეოდა განუსაზღვრელი ძალაუფლება. თუ მალენკოვს ერთ-ერთი თანამდებობა, კერძოდ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტი ექნებოდა, ამით მისი ხელისუფლება ნახევრდებოდა და ასეთ პირზე ზემოქმედება უფრო ადვილი ხდებოდა. ამ საზომით უდგებოდა ბერია ხრუშოვსაც. რა თანამდებობაც არ უნდა დაეჭირა ხრუშოვს, ბერია ყოველთვის შესძლებდა, იგი წარემართა თავისი სურვილისამებრ.

პოლიტბიუროში, ერთი შეხედვით, სიწყნარე იყო, მაგრამ მიდიოდა ფარული ომი, ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად. ამ დროს ბერიას ავტორიტეტი ზენიტში იყო, ყველას საკუთარი ლანდივით თან სდევდა მისდამი შიში.

როგორც კი გაანთავისუფლეს „მეგრელთა საქმესთან“ დაკავშირებით პატიმრობაში მყოფი პირები, ისინი, თითქმის ყველანი პასუხისაგებ თანამდებობაზე დაინიშნენ. მაგალითად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გახდა ა. მირცხულავა.

შავი დღე დაადგა აკ. მგელაძეს. მან კარგად იცოდა, რომ ბერია არ შეარჩენდა და მოჰკითხავდა ჩადენილ ცოდვებს.

იდგა დაძაბული დღეები. რაღაცნაირად ინტუიციით ყველა გრძნობდა, რომ რაღაც უჩვეულო რამ უნდა მომხდარიყო.

უცხოეთის პრესამ გაუგონარი აჟიოტაჟი ატეხა... იუწყებოდნენ, რომ ქვეყნის სათავეში მალე მოექცევა ფორმალურად, ხოლო ფაქტობრივად, უკვე მოქცეულია სტალინზე უფრო სასტიკი ჩეკისტი – ბერია. ერთ-ერთ დასავლურ ჟურნალში დაეხატათ ბერია მთელი ტანით. მოლოტოვი, მალენკოვი, ბულგანინი და სხვები პატარა თოჯინებად იყვნენ გამოყვანილი რომელთაც ბერიას ჯიბეებიდან პატარა თავებიღა მოუჩანდათ.

ბერიაც ინტუიციით გრძნობდა, რომ მის თავზე შავი ღრუბლები გროვდებოდა. იგი საკმაოდ ფხიზლობდა, როგორც ადრე ვთქვით, მას მძლავრი დაზვერვა ჰყავდა, როგორც საზღვარგარეთ – ისე ქვეყნის შიგნითაც. მან უმალ შეიტყო სამხედრო ნაწლებში ბულგანინის დაშიფრული დეპეშის გაგზავნის ამბავი. ამის შემდეგ ბერიას დარჩა ერთი გზა – ემოქმედა.

**ვ.მ. მოლოტოვი (ანზორ ერქომაიშვილის სტატიის მიხედვით)**

საჭიროდ მიგვაჩნია, მკითხველს გავაცნოთ, თუ რა აზრს ავითარებდა სსრ კავშირის ყოფილი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ვიაჩესლავ მიხეილის ძე მოლოტოვი იმ საკითხებზე, რომლებზეც აქ გვაქვს საუბარი.

ამისთვის გამოვიყენებთ ცნობილი ქართველი მუსიკოსის, ანზორ ერქომაიშვილის სტატიას „შეხვედრა მოლოტოვთან“, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“ 1989 წლის 17 ოქტომბრის ნომერში.

„მოლოტოვი დაიბადა 1890 წელს, მას მეტად საინტერესო ბიოგრაფია აქვს. კომპარტიის რიგებში მიიღეს 1906 წელს. მის თვალწინ გაიარა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის მთელმა ისტორიამ. მოწმე იყო მე-20 საუკუნის უდიდესი მოვლენებისა. ურთიერთობა ჰქონდა ჩვენი საუკუნის მსოფლიოს ყველაზე დიდ პოლიტიკურ მოღვაწეებთან 50-იანი წლების ბოლომდე. იგი მონაწილე იყო არამარტო დიდი გამარჯვებისა, არამედ რეპრესიებისა და ყველა სხვა უარყოფითი მოვლენებისა. მოლოტოვი ბოლომდე დარჩა კომუნისტური პარტიისა და მაშინდელი საბჭოთა მთავრობის იდეების ერთგული. მისი პოზიცია მაშინდელი მთავრობის პოზიციაა, ამიტომ მისი აზრი საინტერესოა, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მოვლენების შეფასებისას.

ბატონი ანზორი მოლოტოვთან შეახვედრა მისმა ახლო მეგობარმა ნოშრევან ჯორჯაძემ. ეს უკანასკნელი მოლოტოვთან დაახლოებული პირი იყო. ისინი 1985 წლის 9 მაისს ესტუმრნენ ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს. იგი ცხოვრობდა მოსკოვიდან 40 კმ. დაშორებით მდებარ მთავრობის კოტეჯში. იქ გაიმართა სადღესასწაულო სუფრა.



ბატონი ანზორი წერს: „მოლოტოვი ფეხზე წამოდგა, ჭიქა ასწია, წელში გაიმართა და საზეიმოდ წარმოსთქვა: ამხანაგებო, მოდით დავლიოთ დიდი სტალინის სადღეგრძელო – შემდეგ პაუზა გააკეთა, თავი დახარა და დაუმატა – ლენინსაც გაუმარჯოს“. შემდეგ თურმე დაინტერესდა და იკითხა: „რა მდგომარეობაშია ახლა სტალინის სახლმუზეუმი გორში?“ მას უთხრეს, რომ შენობას რემონტი გაუკეთდა, მუზეუმი შეივსო ექსპონატებით, ჩამოიტანეს სტალინის პირადი ვაგონი და სხვა. მოლოტოვს ესიამოვნა ყველაფერი ეს და თქვა: „დიდი შეცდომა იყო სტალინის მოსპობის ცდა. ამით საბჭოთა კავშირს დიდი ზიანი მიაყენეს. ეს შეცდომა მომავალში გამოიღებს ნაყოფს.“

სტალინი მარად იცოცხლებს. მოვა დრო და მის თითოეულ სიტყვას მოსძებნიან, ამიტომ მისი მუზეუმი და საბუთები უნდა შევუნახოთ მომავალ საუკუნეებს. შემდეგ მოლოტოვმა გააგრძელა: „ახლა 9 მაისს გაუმარჯოს – ეს იყო მსოფლიოში ყველა დროის უდიდესი მოვლენა. ჩვენ გავიმარჯვეთ ურთულეს პირობებში სტალინის ხელმძღვანელობით. რომ სტალინი არა, მისი დიდი ტალანტი, მომთხოვნელობა, სიმკაცრე, დიდი მხედართმთავრული ნიჭი და მისი პოლიტიკური ვითარების შეფასების საოცარი უნარი, გარწმუნებთ, რომ ვერ გავიმარჯვებდით, თუმცა ეს გამარჯვება ძვირად დაგვიჯდა.“

ბატონი ანზორი ეკითხება მოლოტოვს: – „ვიაჩესლავ მიხაილოვიჩ, თქვენი ხანგრძლივი მოღვაწეობის პერიოდში, რომელ გამოჩენილ მოღვაწეებს შეხვედრიხართ, ვისთან გქონიათ კონტაქტები? „მოლოტოვი პასუხობს: „სრულიად ახალგაზრდამ დავიწყე მუშაობა ლენინთან... წლების განმავლობაში ვმუშაობდი ტროცკისთან, ზინოვიევთან, კამენევთან, ბუხარინთან და სხვებთან... სტალინთან მუშაობა, როგორც იცით, მოხდა მისი სიცოცხლის ბოლომდე. მერე ცოტა ხანს მალენკოვთან ვიმუშავე, ცოტა ხრუშოვთან, რომელმაც დაუსვა კიდეც წერტილი ჩემს მოღვაწეობას. უცხოელებიდან თითქმის ყველა იმ ქვეყნის საგარეო მინისტრებთან და პრეზიდენტთან ჰქონდა შეხვედრები, ვისთანაც კი დიპლომატიური ურთიერთობა გვქონდა საბჭოთა კავშირს. ყველა მათგანის ჩამოთვლა. დავასახელებ მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფოს მეთაურს: რუზველტი, ჩერჩილი, ტრუმენი, ეტლი, დეგოლი, ეიზენჰაუერი, ადენაუერი, იდენი, მაოძედუნი. შევხვედრივარ მუსოლინს, ჰიტლერს 4-ჯერ შევხვდი... “

– რა შთაბეჭდილება მოახდინა ჰიტლერმა თქვენზე პირველად? – ეკითხება ბატონი ანზორი.

– მოლოტოვი პასუხობს: ... „პირველი, ნახვისთანავე, ჩემზე არანორმალურის შთაბეჭდილება დატოვა. ხელი, რომ ჩამომართვა, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითოს ხელში ბაყაყი ჩამიდეს, ხელი ისეთი ცივი და ოფლიანი ჰქონდა, თვალები ტყვიისფერი, გამოხედვა სუსხიანი, რენტგენივით გადიოდა სხეულში.“

მოსკოვში რომ ჩამოვედი სტალინს ვუთხარი: „ეს კაცი ნამდვილი გიჟია და მსოფლიოს დაღუპავს მეთქი“.

* * *

სუფრაზე მსხდომთაგან – თამაზ ანდღულაძემ მოლოტოვს დაუსვა ასეთი კითხვა: „ვიაჩესლავ მიხაილოვიჩ, ამბობენ, რომ სტალინი პირველად თქვენს სადღეგრძელოს სვამდა, მერე მშვიდობისას, მართალია?“ მოლოტოვმა უპასუხა: "Было такое дело".

გააგრძელა: „სტალინის სახელით მხოლოდ რამდენიმე კაცს მოგვმართავდა, დანარჩენებს გვარებით, იგი არავის მთვრალი არ უნახავს. დალევდა რამდენიმე ჭიქას და მერე სხვებს ასმევდა. სადღეგრძელოები ქართული წესით იცოდა. ჩვენც ასე დაგვაჩვია, მშობლების სადღეგრძელოს აუცილებლად წარმოთქვამდა. სუფრაზე იუმორი უყვარდა. საერთოდ იგი იუმორის არაჩვეულებრივი ნიჭით იყო დაჯილდოებული, ოღონდ მისი იუმორი რაიმე მიზანს ისახავდა.“

მხოლოდ ერთხელ ვნახე პირველად და უკანასკნელად, რომ სტალინმა ბევრი ღვინო დალია, ეს იყო ომის დაწყების პირველ თვეში, როცა მოსკოვში ჩერჩილი ჩამოვიდა – მოლაპარაკებაზე.

სტალინმა ქართული სუფრა გაშალა. სუფრასთან სამნი ვიყავით: თვითონ, ჩერჩილი და მე. სტალინი თამადობდა. სუფრა ქართულად წაიყვანა. მამაპაპური სადღეგრძელოები წარმოთქვა. თვითონაც ყველა ჭიქა დალია, ჩვენც ბოლომდე გვასმევდა, ჩვენ დაგვათრო; თვითონ თავი კარგად ეჭირა. მერე ჩერჩილს ისე საბუთებზე მოაწერინა ხელი, რომ მის ფასს, ალბათ ინგლისში გაიგებდა. აი, მაშინ დავრწმუნდი, რომ თურმე ღვინის სმა კარგად შეეძლო.

– ვიაჩესლავ მიხაილოვიჩ, სტალინთან ყველაზე დაახლოებული პირი თქვენ იყავით, როგორ მოხდა, რომ თქვენი მეუღლე 10 წელი გადასახლებაში იყო? – ეკითხება ბატონი ანზორი.

მოლოტოვი პასუხობს: "Она проболталось" მის ამბებს ხშირად მატყობინებდა ბერია. ჩემი ცოლი გამონაკლისი არ იყო. მთავრობის ბევრი წევრის ცოლი გადაასახლეს, რომლებმაც ენას კბილი ვერ დააჭირეს. ამაში სტალინს არავითარი ბრალი არ მიუძღვის, დამნაშავე განურჩევლად ისჯებოდა, ასეთი იყო ჩვენი წესი.

მოლოტოვს უსვამენ კითხვას: ... „როგორ გგონიათ, მილიონობით რეპრესირებული ხალხიდან ყველა დამნაშავე იყო?“

იგი პასუხობს: – „იცით რა, გითხრათ, ეს რეპრესიები არ იყო, პარტია ებრძოდა თავის იდეურ მტრებს. ეს ბრძოლა 1917 წელს დაიწყო, მაშინ ძნელი დრო იყო. ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბევრი ბოროტი ძალა მოქმედებდა. იყო ბევრი დივერსია: აფეთქებდნენ ხიდებს, საწყობებს, ქარხნებს, ფაბრიკებს, მწყობრიდან გამოჰყავდათ ელექტროსადგურები: გადამჭრელი ზომები რომ არ მიგვეღო 1937 წელს, როცა გერმანიასთან ომი კარზე იყო მომდგარი. დღეს 9 მაისს ვერ ვიზეიმებდით.

შეიძლება, დაღუპულთა სიაში უდანაშაულონიც მოხვდნენ, მაგრამ,ს რა უნდა გვექნა. ჩვენ 10 000 დამნაშავეთა სია მოგვდიოდა, რომელთა გადამოწმება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, ამიტომ იძულებული ვიყავით დავყრდნობოდით ადგილობრივ ხელმძღვანელობას.“

* * *

„სტალინი, რომ ძლიერი პიროვნება იყო, ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მან აჯობა რევოლუციის აღიარებულ ბელადებს: ტროცკის, ზინოვიევს, კამენევს, ბუხარინს, რომ არაფერი ვთქვათ სხვებზე. მათთან ბრძოლის მოგება არანაკლებ ძნელი იყო, ვიდრე სამამულო ომში გამარჯვება.“

მახსოვს ერთი ასეთი ფაქტიც: ახალგაზრდა საბჭოთა კავშირი მონაწილეობას იღებდა მსოფლიოს დიდი სახელმწიფოების წარმომადგენელთა მოლაპარაკებაში. მე მაშინ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გახლდით და დელეგაციას ვმეთაურობდი. სხდომის პირველ დღეს უცხოეთის რამდენიმე ქვეყანამ წარმოგვიდგინა საბუთები, რომელთა მიხედვით, ჩვენ უნდა გადაგვეხადა ნიკოლოზ II დროინდელი რუსეთის ვალები.

თანხა ძალიან დიდი იყო და მე სასოწარკვეთამ მომიცვა. ჩვენს ისედაც გაძვალტყავებულ ქვეყანას ამ ვალის გადახდა არაფრით შეეძლო. არადა ფაქტი სახეზე იყო. ხელი უნდა მომეწერა, როგორც სახელმწიფოს ერთ-ერთ მეთაურს, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო მეფის რუსეთი. ამას კატეგორიულად მოითხოვდნენ ჩემგან და გამოსავალიც არ ჩანდა.

შესვენების დროს დავურეკე სტალინს და მოვახსენე საქმის ვითარება

– მოაწერეთ ხელი, – მითხრა მან მცირეოდენი პაუზის შემდეგ. ოღონდ სხდომაზე 15-20 წუთით დაიგვიანეთ.

– თქვენ გესმით რამოდენა თანხაზეა ლაპარაკი? – მეგონა ვერ გაიგო ჩემი ნათქვამი.

– მოაწერეთ ხელი, – გაიმეორა სტალინმა და ყურმილი დაკიდა.

სხდომაზე შესვლა დავაგვიანე. ამ 15-20 წუთის განმავლობაში ვერაფრით ვერ მოვიფიქრე, რა გადაწყვიტა სტალინმა. ფიქრი ტვინს მიღრღნიდა, ათასნაირმა ვარიანტმა გამიელვა თავში, მაგრამ გამოსავალი ვერაფრით ვერ ვნახე.

შევედი სხდომაზე 10 წუთის შემდეგ. თავმჯდომარემ გამოაცხადა: –„ამ რამდენიმე წუთის წინ მოსკოვიდან მივიღეთ დეპეშა, რომ ბატონი მოლოტოვი ორი საათის წინ გადაუყენებიათ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტიდან, ამიტომ მის ხელმოწერას ძალა არა აქვს და შეუძლია დატოვოს დარბაზი.“

სიხარულისგან მინდოდა მეყვირა. ეს როგორ მოიფიქრა, ყველაფერი რა უბრალოდ გადაწყვიტა. აღელვება რომ არ გამომეხატა , სასწრაფოდ დავტოვე დარბაზი. ასე გადამიყვანეს სხვა თანამდებობაზე.

გაგრძელება იქნება

# როგორ შეგვათრიეს „ესენგეში"

დასაწყისი მე-2 გვერდიდან

# საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 1 მარტის სხდომის ოქმი

## საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო დოკუმენტი

გაქვთ, რასაც ახლა აკეთებთ.

ნ. ნათაძე. მაქვს მე ამის უფლება.

თავმჯდომარე. გთხოვთ, ვუყაროთ კენჭი. თუ დაგიჭერენ მხარს, კი ბატონო.



ნ. ნათაძე ხულიგანი ხარ, მეტი არაფერი.

თავმჯდომარე. ხულიგანი მე კი არა ვარ... მაგისათვის მოგთხოვ პასუხს, ჯერ მაცადე.

(ხმა დარბაზიდან: ეს არის უკანონობა).

თავმჯდომარე. დაბრძანდით, დაბრძანდით. გთხოვთ, ნერვებს გაუფრთხილდეთ. (ხმაური დარბაზში). ვნახოთ, ვნახოთ. ბატონებო, მე გაფრთხილებთ პარლამენტის სახელით... (ხმა დარბაზიდან, ეს არის უკანონობა!). ვუყაროთ კენჭი, ვინ არის მომხრე, რომ შეწყდეს კამათი.

ვ. რჩეულიშვილი. უთხარით, მიმდინარეობს კენჭისყრა.

(ყვირილი დარბაზში).

თავმჯდომარე. მიმდინარეობს კენჭისყრა, დაბრძანდით ადგილზე. (მომხრეა 117, წინააღმდეგი 44, თავი შეიკავა 5-მა, 161).

(ხმა დარბაზიდან: ეს არის უკანონობა!). უკანონობა თუ არის, რატომ ღელავთ, კაცო, დაბრძანდით. (კამათი დარბაზში).

ნ. ნათაძე. ეს არის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა. კანონის დარღვევას და რეგლამენტის დარღვევას ჰქვია სახელმწიფო გადატრიალება, მეტი არაფერი არ ჰქვია.

ვ. რჩეულიშვილი. არ მუშაობს, დააფიქსირეთ.

ე. შევარდნაძე. მე არ მინდა...

(ხმა დარბაზიდან).

თავმჯდომარე. მადლობთ, ყველა წინადადებას, რაც შემოვიდა, დავაყენებთ კენჭისყრაზე. (ყვირილი დარბაზში). დაბრძანდით. ვუყრი იმასაც კენჭს. მე მგონი, შევუდგეთ მუშაობას შემოთავაზებული დღის წესრიგით. ახლა ვუყრი კენჭს ბატონ ნათაძის წინადადებას, რომ მის მიერ წინა სხდომაზე დასმული საკითხი იყოს პირველ საკითხად. (კამათი დარბაზში). უკაცრავად ვარ, უკაცრავად. (ყვირილი დარბაზში). გთხოვთ, ბატონო დეპუტატებო... (ხმა დარბაზიდან: უკანონობაა ეს, უკანონობა. ეს არის...) ბატონო დეპუტატებო, ჩვენ უნდა ვიმუშაოთ. (ყვირილი დარბაზში). ნუ ყვირიხართ, უნდა ვიმუშაოთ. გთხოვთ მოვემზადოთ კენჭისყრისათვის. დავამტკიცოთ დღის წესრიგი როგორც არის ასე. მერე იმ წინადადებებზეც ვუყრი კენჭს. გთხოვთ მოვემზადოთ. (კამათი დარბაზში). მადლობთ, მიმდინარეობს კენჭისყრა. გთხოვთ ჩავრთოთ. ვინ არის მომხრე, წარმოდგენილი სახით იქნეს მიღებული წესრიგი. (ყვირილი დარბაზში). დაბრძანდით, საქმეა ესა. (ხმა დარბაზიდან: უკანონოდ ვმუშაობთ!). არ ვმუშაობთ უკანონოდ. (ყვირილი დარბაზში). შეაჩერეთ კენჭისყრა. მოვემზადოთ კენჭისყრისათვის. ყველა წინადადებას ვუყრი კენჭს, ოღონდ წესითა და რიგით. ვინ არის მომხრე, დავამტკიცოთ წარმოდგენილი სახით დღის წესრიგი? შემდეგ კი ბატონი ნოდარ ნათაძის წინადადებას ვუყაროთ კენჭი. (ხმაური დარბაზში). მოითმინეთ. პროცედურისთვის იყო აქ ერთი საათი, რომ თქვენ... ახლა შეწყდა ეს კამათი. (ყვირილი დარბაზში). სიწყნარე იყოს. ბატონებო, ნუ ყვირიხართ. (ყვირილი დარბაზში). ბატონო დეპუტატებო, ვუყაროთ კენჭი, ვინ არის მომხრე წარმოდგენილი სახით მიღებული იქნეს დღის წესრიგი? ვუყაროთ კენჭი.

ვ. რჩეულიშვილი. მიმდინარეობს კენჭისყრა.

თავმჯდომარე. მიმდინარეობს კენჭისყრა. (კამათი დარბაზში). ჩაშლაზე არიან, არა? ჩაშალონ, რა ვქნათ. (კამათი დარბაზში). (მომხრეა 111, წინააღმდეგი 59, თავი შეიკავა ორმა, 176). ეს ჩვეულებრივი უმრავლესობით წყდება, ამას არ უნდა ის... ახლა ვუყაროთ კენჭი ბატონ ნათაძის წინადადებას. (დარბაზიდან: არ არის საჭირო). თუ არ არის, მაშინ, ბატონო ნოდარ, ჩვენ ასე შევთანხმდეთ, თუ გნებავთ, ვუყაროთ კენჭი, თუ არა და დღის წესრიგიდან საკითხი არ არის მოხსნილი და როცა მივალთ იქ, ამასაც განვიხილავთ. მაშინ როგორი იქნება წინადადება, კენჭი ვუყაროთ თუ შევთანხმდით. მაშინ დავიწყოთ მუშაობა. (ხმა დარბაზიდან). დეპუტატის უფლებამოსილების შესახებ, რომელიც დააყენა ბატონმა ხმალაძემ; დაევალოს სამანდატო კომისიას, სხვა კომისიებს... (ყვირილი დარბაზში: არა, არა...)

(ხმა დარბაზიდან: ეგრე არ არის). როგორ გეკადრებათ, მოითმინეთ.

(ხმაური დარბაზში). ბატონებო, ვუყაროთ კენჭი ჯერ ბატონ ნათაძის წინადადებას, შემდეგ თქვენს წინადადებას. (ხმა დარბაზიდან – ითხოვენ შესვენებას). ეს კენჭისყრის წინ? (კამათი დარბაზში). აი, ეს არის პარლამენტი. ე.ი. ჩვენ თუ გვინდა, რომ ვიმუშაოთ, როგორც პარლამენტს შეშვენის, უნდა ვიმუშაოთ. ეს მუშაობა არ არის. (კამათი დარბაზში). კი ბატონო. ვინ არის მომხრე ბატონი ნოდარ ნათაძის წინადადების... (ხმა დარბაზიდან). არ გინდათ კენჭისყრაზე? ბატონო ნოდარ, წინააღმდეგი ხართ კენჭისყრის? მე-5 მიკროფონი.

ნ. ნათაძე. მე მინდა მოგახსენოთ და მივაპყრო თქვენი ყურადღება შემდეგ ფაქტს. რეგლამენტი მოითხოვს ცალსახად და ნათლად, რომ ის დეპუტატები, რომლებიც არიან თანამდებობაზე გარკვეული ჩამონათვალით, რომ აღარ იყვნენ დეპუტატები. ამის დარღვევა არის ძალადობა კანონზე. ამას ჰქვია, მე მინდა დავაფიქსირო ღიად და ნათლად, სახელმწიფო გადატრიალება ზემოდან. არ გვგონოთ, რომ პარლამენტის 100% ხმა +სახელმწიფო მეთაურის ხმა არის კანონი. კანონი ამაზე უფრო მაღლაა. რეგლამენტი არის კანონის ნაწილი, ე.ი. ამ წინადადების მიუღებლობა, ამ კატეგორიული მოთხოვნის მიუღებლობა... ის დეპუტატები, რომლებსაც აქვთ თანამდებობა, აღარ ჩაითვლიან დეპუტატებად. არის სახელმწიფო გადატრიალება ზემოდან. ყველა მოქალაქე, პარლამენტის ყველა წევრი ვალდებულია, რომ გაუწიოს წინააღმდეგობა სახელმწიფო გადატრიალებას. აი ასეა!

ვ. რჩეულიშვილი. გამოურთეთ მიკროფონი.

თავმჯდომარე. გამოურთეთ. საკმარისია.

ნ. ნათაძე. ამიტომ მე კატეგორიულად მოვითხოვ... (ყვირილი დარბაზში).

თავმჯდომარე. ბატონო დეპუტატებო... (ხმაური დარბაზში: ეს არ ყოფილა გამსახურდიას პარლამენტში...). არა უშავს, ბატონებო, ჩვენ გვაქვს წესი და რიგი. (ყვირილი დარბაზში).



ხმა დარბაზიდან. როგორ არ გრცხვენიათ, როგორ არ გრცხვენიათ.

თავმჯდომარე. უნდა გრცხვენოდეს, მართალია. (ყვირილი დარბაზში). ბატონო დეპუტატებო, ყველა თქვენს წინადადებას ვაყენებთ კენჭისყრაზე. ბატონ ნათაძის წინადადება. ბატონო დეპუტატებო, თუ პარლამენტის მუშაობა გვინდა, ვიმუშაოთ, თუ დანგრევა გვინდა... (ყვირილი დარბაზში).

მოიცათ. მე ვთხოვ... თუ არ უნდათ, ნუ უნდათ. ვუყაროთ ჯერ ბატონ ნოდარ ნათაძის წინადადებას კენჭი. მოვემზადოთ კენჭისყრისათვის. (ხმაური დარბაზში). თქვენს წინადადებას ვაყენებთ კენჭისყრაზე. ვინ არის მომხრე, რომ პირველად განხილული იქნეს ბატონი ნოდარ ნათაძის წინადადება? (ყვირილი დარბაზში). ბატონო დეპუტატებო, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ათასი ტელეკამერა იღებს ამას. უხერხულია ეს. (ხმა დარბაზიდან: მომეცით საშუალება განცხადება გავაკეთო). მაშინ მოგცემთ, როცა წესი და რიგია, დაბრძანდით ბატონო ბორის, გთხოვთ დატოვეთ ტრიბუნა, დაბრძანდით.

თ. ნხეიძე. ფრაქცია ითხოვს შესვენებას, ხომ მოითხოვა. ერთ შესვენებას რა უფლებით არ აძლევთ.

ვ. რჩეულიშვილი. მივცეთ კენჭისყრის წინ.

თავმჯდომარე. კენჭისყრის წინ, რეგლამენტით ასეა.

თ. ნხეიძე. ამას გამსახურდია არ აკეთებდა.

თავმჯდომარე. არც გავაკეთებთ. რასაც გამსახურდია აკეთებდა, მართალია, იმას ჩვენ არ გავაკეთებთ. (ყვირილი დარბაზში). ვინ აკეთებს, ამას ღმერთი ხედავს და ქვეყანა ხედავს. ნუ ჩქარობთ. (კამათი დარბაზში). ე.ი. 5 წუთის ითხოვთ შესვენებას, ბატონო ნოდარ, არა? ე.ი. ბატონებო, მივცეთ 5 წუთი შესვენება. რეგლამენტის მიხედვით აქვთ ამის უფლება. მე ვთხოვ სხვებს, არ დატოვონ დარბაზი, 5 წუთი ზუსტად და მერე ბატონ ნათაძის წინადადებას ვაყენებთ კენჭისყრაზე.

ვ. რჩეულიშვილი. არ გავიდეს საპარლამენტო უმრავლესობა.

თავმჯდომარე. საპარლამენტო უმრავლესობას ვთხოვთ არ გავიდნენ დარბაზიდან.

შესვენების შემდეგ.

**სხდომას თავმჯდომარეობს საქართველოს პრეზიდენტის სპიკერი ვ. გოგუაძე.**

თავმჯდომარე. მოვემზადოთ კენჭისყრისათვის. გთხოვთ გავიაროთ რეგისტრაცია. მოვემზადოთ რეგისტრაციისათვის. გთხოვთ ჩავრთოთ სარეგისტრაციო აპარატი. ბატონ ნათაძეს მივცემთ სიტყვას განცხადებისათვის და მერე ვუყრით მის მიერ დაყენებულ წინადადებას კენჭს. მე-5.

ნ. ნათაძე. ჯერ ერთი, შემიძლია გახაროთ თანმიმდევრული განვითარება, ასე ვთქვათ ტენდენციის, პოლიტიკური ტენდენციის, რომელიც იმაში გამოიხატა, რომ გარეთ ახლა თურმე ლტოლვილები დაურბევია მილიციას და გაულახავთ. ეს ერთი.

მეორე, მე მაქვს ხელთ პარლამენტის წევრთა განცხადება, რომელიც ეხება მიმდინარე მოვლენებს, 18 ხელმოწერაა.

თავმჯდომარე. ბატონო ნოდარ, დღის წესრიგთან დაკავშირებით.

ნ. ნათაძე. კი ბატონო, დღის წესრიგთან დაკავშირებით. მე მოვითხოვ, რომ დაცული იქნეს ის თანამიმდევრობა, რომელიც მიღებული იყო უკვე კერძოდ, ჯერ გატანილი იქნას ჩვენი საკითხი და მერე კი ყველა სხვა. შემდეგ, რაც შეეხება თვითონ ამ ჩვენი მსჯელობის თემას, ამ „სნგ"-ში საქართველოს შესვლა-შეუსვლელობის თემას. ჩემი მორალური დახასიათება ამისა, თქვენ მოგეხსენებათ. მე ის მიმაჩნია საქართველოს ღალატად; ჩემი ახსნა მექანიზმებისა მოგეხსენებათ. მე მიმაჩნია, რომ საქართველო არის ხელოვნურად ჩაგდებული ამ მდგომარეობაში, რათა შევიდეს „სნგ"-ში. ახლა შეგახსენებთ, ჯერ ერთი, აუცილებელია, თუ მიდგა კენჭისყრაზე საქმე, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მომზადებულები არა ვართ, პარლამენტმა არ იცის ყველა დოკუმენტი, რომელიც ამას ახლავს. ზოგი დოკუმენტი შეიძლება გაჩვენოთ აქ. მიუხედავად ამისა თუ კანონდარღვევით მივიდა საქმე კენჭისყრამდე, ჯერ ერთი...

თავმჯდომარე. კანონდარღვევით არ იქნება კენჭისყრაზე...

ნ. ნათაძე. ჯერ ერთი, ეს ისეთი ხასიათის წინადადებაა თავისი შინაარსით, რომელიც მოითხოვს ხმათა 2/3-ს, ცალსახად და ნათლად...

თავმჯდომარე. ბატონო ნოდარ, თქვენი წინადადება...

ნ. ნათაძე. ეს ეხება კონსტიტუციურ თემას, ეს მოითხოვს ცვლილებებს ისეთ კანონში, რომელიც ჩვენ მიღებული გვაქვს ხმათა უმრავლესობით.

თავმჯდომარე. ჩვენ არც ერთი რეტიფიკაცია 2/3-ით არ გაგვიკეთებია, არ...

ნ. ნათაძე. არა ეს სულ სხვა რამეა. ამაზე რომ ვილაპარაკებთ, ამას დაგისაბუთებთ.

თავმჯდომარე. თქვენს წინადადებას ვუყაროთ თუ არა კენჭი?

ნ. ნათაძე. მეორე, ვიცით რა...

თავმჯდომარე. ვუყაროთ კენჭი თქვენს წინადადებას?

ნ. ნათაძე. რომელ წინადადებას?

თავმჯდომარე. აი, რომელიც დასვით, პირველ საკითხად. თქვენი საკითხი რომ გინდათ გამოიტანოთ.

ნ. ნათაძე. კი ბატონო, ვუყაროთ კენჭი.

თავმჯდომარე. ჰოდა, გავაგრძელოთ მუშაობა.

ნ. ნათაძე. კი ბატონო, მე ვიცი დარბაზის განწყობილება, ვიცი უმრავლესობის განწყობილება, ვიცი ზემოქმედების ყველა მექანიზმი, მიუხედავად ამისა, უნდა ვუყაროთ კენჭი, აბა, რა ვქნათ. მაგრამ მე კიდევ შეგახსენებთ. როდესაც ხდება ძალადობა კანონებზე...

თავმჯდომარე. უკვე საკმარისია, საკმარისი.

ნ. ნათაძე. რაც არის გამორიცხული სამართლებრივ სახელმწიფოში, ამის კვალიფიკაცია გითხარით, რა არის? აქ.

გაგრძელება იქნება

მთავარი რედაქტორი
მანანა ლობჟანიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5
გაზეთის ინდექსი 66447

შპს გაზეთი „საქართველო"
რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ №06/4-444
ტელ:93-20-36

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორი აგებს.